საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 8 ნოემბერი. 2016 წ. №208 (8100), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ქვეყნად ყველაფერი მთავრდება, თვით სააკაშვილიც კი!

„ცრუსთავი-2“-სა და პირადად ნიკა გვარამიას, რასაკვირველია, დიდად არ სიამოვნებთ ნაციონალთა მორიგი მარცხის გასაჯაროება, მაგრამ სიმართლეს სად გაექცევიან?!

სიმართლე კი ის არის, რომ ოდესის გუბერნატორმა გუშინ თავისი საყვარელი ტრიბუნა ქალაქის გულში დადგა, მიკროფონს ბოლო ხმამდე ამოუწია და მთელი ოდესის (უფრო მთელი უკრაინის) გასაგონად დაიბღავლა: იმის გამო, რომ უკრაინის ხელისუფლება კორუფციაშია ჩაბმული და მე ვერაფერს გავხდი, ამიტომ ოდესის გუბერნატორის პოსტს ვტოვებო. ჩემამდე ოდესის პოლიციის უფროსის პოსტიდან გიორგი ლორთქიფანიძე გადადგაო. მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ ხელს ჩავიქნევთ და უკრაინაში კორუფციის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას არ განვაგრძობთო... თანაც რამდენიმე საკითხის გამო მწარედ გაჰკრა კლანჭი თავად უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს, რომელმაც, რა თქმა უნდა, ვითომ თავისით გადადგომამდე ერთი ძველი ქართულ-უკრაინული ანდაზა შეახსენა ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილ სააკაშვილს, **ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო...**

და მიხაილოსაც ჭკუაში დაუჯდა ყოფილი მფარველი მეგობრის რჩევა. როგორც ხელმოცარულმა პოლიტიკურმა რეჟისორმა ხელად პატარა სცენა მოაწყო, ათასი ცოდვით დამძიმებულ მხრებზე სიმართლისა და უანგარობის ტოგა წამოისხა, რომლის კალთაც უკვე ყოფილ ოდესელ პოლიციელს გიორგი ლორთქიფანიძეს დააჭერინა, და ჩვეული დემაგოგიური რიტორიკით გააბრუა სახელდახელო ტრიბუნასთან სახელდახელოდ თავმოყრილი ცნობისმოყვარე ოდესელები, რომელთაც თავიდან გულუბრყვილოდ დაუჯერეს თავიანთ შოკოლადის პრეზიდენტს, რომ გუბერნატორადაც შოკოლადივით გემოტკბილ ქართველს უნიშნავდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, ეს „გემოტკბილი შოკოლადივით კაცი“ მალევე გამომჟღავნდა მთელი თავისი წიწაკური სიმწარით და არა მარტო ოდესელებს, არამედ თვითონ პოროშენკოს ავად დასწვა ერთ დროს სხვათა და სხვათა დავალებით ვითომ მეგობარი სააკაშვილის მაქებარი პირი.

და აი ამ დამწვარი პირით, ბოლოს და ბოლოს, ამოღერღა სათქმელი პოროშენკომ. და პრეზიდენტმა და ნაპრეზიდენტალმა ერთი შეხედვით ასე უწყინრად ამჯობინეს პოლიტიკური განქორწინება, ცხადია, უკრაინაში ამერიკის ელჩის თანდასწრებით, რათა პოლიტიკურად მეტი ძალა და დამაჯერებლობა შესძენოდა ამ ერთგვარად მოულოდნელ გაყრას.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ საქმეს თუ უფრო ღრმად ჩავხედავთ, ეს სულაც არ ყოფილა მოულოდნელი, რადგან მოულოდნელი და უკრაინელი ხალხის ნამდვილად შეურაცხმყოფელი იყო სწორედაც თავისი ქვეყნის მიერ ძებნილად გამოცხადებული სააკაშვილის ოდესაში გაგუბერნატორობა. ამ ძებნილმა მარტო თავისი დამნაშავე თავი არ აკმარა 45-მილიონიან ქვეყანას და თავისი ნაციონალური ხროვიდან საკუთარი ქვეყნის ძარცვას მიჩვეული კარგა დიდი ნაწილი გაიყოლა თან. საკუთარი ქვეყნის ძარცვას მიჩვეული კი, მოგეხსენებათ, მიჩვეულს ეგრე მალე ვერ გადაეჩვევა და აკი ვერც გადაეჩვია, რამაც, ბოლოს და ბოლოს, საკეთილოდ აუხილა თვალი კეთილგონიერ უკრაინელებს, რომელთაც თავიანთი საკუთარი ყაჩაღებიც უკვე ყელში ჰყავთ ამოსული.

ასე რომ, ეს არავითარი გადადგომა არ ყოფილა. ეს თვით უკრაინელი ხალხის, თვით გონებასხარტი ოდესელების გადაწყვეტილებაა. და, ვფიქრობ, ამ ეგრეთ წოდებულ ვითომ გადადგომას მალე კვალში ჩაუდგება თვით უკრაინული მართლმსაჯულება.

სწორედ ახლა, ამ ცხელ კვალზე თავისი სასტიკი, მაგრამ სამართლიანი სიტყვა უნდა თქვას საქართველოს მართლმსაჯულებამაც.

ახლა სწორედ ის დრო, რომ საქართველოს პროკურატურამ მთელი პრინციპულობით მოსთხოვოს უკრაინის პროკურატურას და პირადად უკრაინის ხელისუფლებას დამნაშავე სააკაშვილის გადმოცემა ჩვენი ქვეყნისთვის, რომელმაც აქ, ჩვენი ხალხის წინაშე უნდა აგებინოს პასუხი ამ პოლიტიკურ არამზადას, რაც მრავლისმთქმელი მწარე მაგალითი უნდა გახდეს ყველა დროის პოლიტიკური ნაძირლებისთვის, რომელთაც საკუთარი სამშობლო თავიანთი სურვილისამებრ სათლელ ცხვრის დუმად წარმოუდგენიათ.

გურამ წიკლაური

ეშმას შვილები

ისევე, როგორც მთელი თბილისი, სრულიად საქართველო შეძრა დედაქალაქში, გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მომხდარმა 76 წლის ქალბატონის, მძიმე ოპერაციის შემდეგ მწოლიარე ავადმყოფი ლუბა ყოჩიაშვილის უსასტიკესმა მკვლელობამ, შემდგომ მისი ცხედრის შეურაცხყოფამ, დანაწევრებამ და, ყველაფერ ამას დართულმა კანიბალიზმმა: მომხდარმა, ცხადია, ჩვენც გულის სიღრმემდე აღგვაშფოთა და მოსვენება დაგვიკარგა. ამ საშინელ თემასთან დაბრუნება იქნებ არც ღირდეს, მაგრამ დაპირებას ვასრულებთ და მკითხველს ზოგიერთ მანამდე უცნობ დეტალს გავაცნობთ.

მოვლენებს თანმიმდევრულად რომ მივყვეთ, ომარ

და ლუბა ყოჩიაშვილებს, ბუნებით მშვიდ, დახვეწილ, მშრომელ ცოლ-ქმარს წლების წინათ ტრაგედია შეემთხვათ — მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 21 წლის ქალიშვილი გარდაეცვალათ და წარმოშობილი უზარმაზარი სიცარიელის შესავსებად შუახნის ასაკის მეუღლეებმა აღსაზრდელად ორი კვირის ბავშვი აიყვანეს, მას თავისი დიაბეტით გარდაცვლილი ქალიშვილის სახელიც კი — ირმა (მარიამი) დაარქვეს და, რომ იტყვიან, ცივ ნიავს არ აკარებდნენ. გოგონა დედას სკოლაშიც მიჰყავდა და წამოსაყვანადაც აკითხავდა, სულ ხელიხელჩაკიდებულები დადიოდნენ. ბატონი ომარი კი თბილავიამშენში მუშაობდა.

უსიამოვნებები ოჯახში ამ ორიოდე წლის წინათ დაიწყო, როცა უმადურმა ნაშვილებმა ხანდაზმული მშობლებისთვის ანგარიშის გაწევა აღარ ისურვა და თავის ხუშტურებზე აცუნდრუკდა — თმა „ნოლზე“ გადაიხოტრა, ჭრელი სამოსელი შავით შეცვალა და სკოლაში სიარულზეც უარი განაცხადა, ზაფხულობით ლამის დედიშობილა დადიოდა, ტანიც ერთიანად სვირინგებით მოიხატა... ყველაფერი ეს, როგორც ჩანს, ირმას ჰორმონების თამაშით ვერ ავხსნით, რადგან, როგორც მეზობლები და სხვა თვითმხილველები ყვებიან, მას ხშირად უბნის საზოგადოებრივ ბაღში ხედავდნენ, ალკოჰოლს რომ ეძალებოდა, სახლშიც ხშირად ნაშუაღამევს მიდიოდა. მართალია, ვიდრე ამ საზარელი საქმის გამოძიება არ დასრულებულა, რაიმე დასკვნების გამოტანა აშკარად ნაჩქარევი იქნება, თუმცა კი, ვფიქრობთ, საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ამ ღამის „გართობის“ მონაწილენი ის პირები, ანდა მათი კარგი ნაცნობები იყვნენ, ვინც 19 ოქტომბერს ახლად ნაოპერაციები ხანდაზმული ქალბატონის ლუბა ყოჩიაშვილის უსასტიკეს მკვლელობაში მიიღეს მონაწილეობა.

იხ. 5 გვ.

აფხაზეთის კურატორები კრემლში და მათი ზრახვები 7

პოლიტიკა ნთქავს ლიტერატურას...



4 პრემირებულები და ლაურეატები

ღია წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბატონ ალექსანდრე ჯეჯელავას 5



გიორგი კვირიკაშვილი გენერალ ჯონ ნიკოლსონს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ნატოს „მტკიცე მხარდაჭერის მისიისა“ და ავღანეთში აშშ-ის სამხედრო ძალების სარდალს, გენერალ ჯონ ნიკოლსონს შეხვდა. მხარეებმა ნატო-საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული ურთიერთობების საკითხებზე ისაუბრეს და თავდაცვის სფეროში არსებული თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში ქართველი სამხედროების ჩართულობას და საქართველოს მიერ შეტანილ წვლილს საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. გენერალმა ჯონ ნიკოლსონმა საქართველოს მთავრობას სამშვიდობო ოპერაციებში ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობისთვის და მსოფლიო უსაფრთხოების დაცვაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა. პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს მზაობა, აქტიურად გააგრძელოს საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდაჭერა.

მხარეებმა ისაუბრეს რეგიონში არსებულ ვითარებაზე.

„უპირველეს ყოვლისა, მინდა, მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობას იმ წვლილისთვის, რომელიც შეაქვს საერთაშორისო უსაფრთხოების მისიაში. წლების განმავლობაში ამერიკელების გვერდით ქართველები ავღანეთში მსახურობენ და ჩვენ ძალიან ვაფასებთ მათ წვლილს. აქვე გამოვთქვამთ მწუხარებას გარდაცვლილი ჯარისკაცების გამო და თანადგომას ვუცხადებთ დაჭრილ მეომრებს. ვაგრძელებთ რა ჩვენს მისიას ავღანეთში, ძალიან იმედის მომცემია, რომ შეგვიძლია გვქონდეს ქართველი პროფესიონალი ჯარისკაცების იმედი. ჩვენ გვქონდა შეხვედრა ბატონ პრემიერ-მინისტრთან, საქართველოს თავდაცვის მინისტრთან და ვისაუბრეთ ორმხრივ თანამშრომლობაზე. როგორც ამერიკელი გენერალი აღვნიშნავ, რამდენად ვაფასებთ საქართველოსთან პარტნიორობას. ამის ნათელი დემონსტრირება არის ერთობლივი სამხედრო წვრთნები — „ღირსეული პარტნიორი“, სადაც ამერიკელი და ბრიტანელი ჯარისკაცები ჩამოვიდნენ საქართველოში და ქართველებთან ერთად გაიარეს წვრთნები. ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და მის სუვერენიტეტს,“ — განაცხადა გენერალმა ჯონ ნიკოლსონმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანი დაესწრნენ.

ჯონ ნიკოლსონი:
საქართველო ნატოს არაწევრი ყველაზე დიდი კონტრიბუტორი ქვეყანაა

ავღანეთში ნატოს „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის და ამერიკის შეერთებული შტატების ძალების სარდალი ჯონ ნიკოლსონი საქართველოს მთავრობასა და მოქალაქეებს საერთაშორისო მისიებში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის.

ჯონ ნიკოლსონი საქართველოში იმყოფება და საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს შეხვდა. როგორც ნიკოლსონმა აღნიშნა, საქართველო ნატოს არაწევრი ყველაზე დიდი კონტრიბუტორი ქვეყანაა.

„ჩვენ ძალიან ვაფასებთ ქართველი ჯარისკაცების, ავღანეთში წარმოდგენილი კონტინგენტის ღვაწლს, მათ სიმამაცეს. გვაქვს იმედი, რომ ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება. ჩვენ გვქონდა შეხვედრა თავდაცვის მინისტრთან, ვისაუბრეთ ორმხრივ თანამშრომლობაზე. მსურს, აღვნიშნო ჩვენი ერთობლივი სამხედრო წვრთნები „ნობელ ფართნერი“, სადაც ამერიკელი და ბრიტანელი ჯარისკაცები ქართველ სამხედროებთან ერთად მონაწილეობდნენ. მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო მათ. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. გვაქვს მოლოდინი, რომ ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება და გაღრმავდება“, — აღნიშნა ნიკოლსონმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ.

მეგობრობას კარგი პირი უჩანს

2017 წლის იანვარში საქართველოს პრემიერ-მინისტრი იტალიას ეწვევა

2017 წლის იანვარში საქართველოს პრემიერ-მინისტრი იტალიის რესპუბლიკას ეწვევა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და იტალიის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის მინისტრის პაოლო ჯენტილონის შეხვედრაზე აღინიშნა. მხარეებმა საქართველო-იტალიის ორმხრივი ურთიერთობები და საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესები განიხილეს.

ყურადღება გამახვილდა სხვადასხვა მიმართულებით, განსაკუთრებით კი ეკონომიკურ და საგანმანათლებლო სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე. მხარეებმა აღინიშნეს, რომ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობებისა და ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი არსებობს.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს. საუბარი ასევე შეეხო რეგიონში არსებულ გამოწვევებს, მსოფლიო უსაფრთხოების საკითხებს, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას. პაოლო ჯენტილონიმ კიდევ ერთხელ დაადასტურა იტალიის მთავრობის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, ასევე ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და იტალიის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის მინისტრმა პაოლო ჯენტილონიმ მედიისთვის ერთობლივი განცხადებები გააკეთეს. გიორგი კვირიკაშვილმა პაოლო ჯენტილონის ვიზიტი იტალიის მთავრობის მხრიდან გამოხატულ მკაფიო მხარდაჭერად შეაფასა.

„ამ ვიზიტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ და განვიხილავთ იტალიის მთავრობის მხრიდან ჩვენი ქვეყნისადმი გამოხატულ მკაფიო მხარდაჭერად. დარწმუნებული ვარ, რომ საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის მინისტრის სტუმრობა ახალ იმპულსს შესძენს ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას. შეხვედრისას ყურადღება გავამახვილეთ ორმხრივი ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტზე, საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე, ჩვენი ქვეყნის, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ქვეყნის მზარდ გეოსტრატეგიულ მნიშვნელობაზე, ასევე, რეგიონულ და გლობალურ პროცესებზე. დღეს, მსოფლიოში და ჩვენს რეგიონში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ვისაუბრეთ უსაფრთხოების საკითხებზე; მათ შორის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე,“ — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

სამხედრო მმართველობით სისტემაში ბევრი რამ გვაქვს შესაცვლელი

ჩვენ საკმაოდ ბევრი რამ გვაქვს შესაცვლელი სამხედრო მმართველობით სისტემაში და ჩვენი თავდაცვის სისტემა მოსაყვანი გვყავს დასავლურ სტანდარტებთან შესაბამისობაში, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თავდაცვის მინისტრის საქმიანობის 100 დღის ანგარიშისა და სამომავლო გეგმების პრეზენტაციის შემდეგ განაცხადა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით ლევან იზორიამ ძალიან საინტერესო ანგარიში და სამომავლო გეგმები წარადგინა, რომელთა განხორციელებაში მას უმაღლესი დონის მხარდაჭერა აქვს.

„ჩვენ უსაფრთხოების კუთხით გვაქვს ძალიან მწვავე გამოწვევები და ჩვენი სამხედრო თავდაცვის და უსაფრთხოების სისტემა მზად უნდა იყოს ყოველგვარი ასეთი გამოწვევისთვის“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და აღნიშნა, რომ იგეგმება მთლიანად თავდაცვის სისტემის ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმირება, რათა ის ნატოს სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოვიდეს. მთავრობის მეთაურის შეფასებით, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია საქართველო-აშშ-ის თანამშრომლობის მემორანდუმი თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში, რომლის განხორციელებაც უკვე იწყება.

„ამ მიმართულებით მთელი მთავრობის კონსოლიდაცია ძალიან მნიშვნელოვანია. მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმა და მინისტრს აქვს სრული მხარდაჭერა უმაღლესი დონიდან“, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

მთავრობის მეთაური მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად თავდაცვის მინისტრის 100 დღის საქმიანობის ანგარიშისა და თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტის პრეზენტაციას დაესწრო. ლევან იზორიამ გაწეული საქმიანობა შეაჯამა და უწყებაში დაგეგმილ რეფორმებზე ისაუბრა.

საზღვაო ფლოტის შექმნა საზოგადოების მოტყუება იქნება!

ლევან იზორიას განცხადებით საქართველოში საზღვაო ფლოტის შექმნის რესურსი არ არსებობს და ეს უნდა ჩანაცვლდეს სხვა კომპონენტით , როგორიცაა სანაპირო დაცვა.

„როცა პრიორიტეტებს ვსახავთ, ისინი ჩვენი რესურსებიდან გამომდინარე უნდა დავსახოთ, ეს კომპონენტი სრულად არ გაქრება, ეს კომპონენტი ამ დროისთვისაც მოქმედებს, რასაც ჰქვია სანაპირო დაცვა. ჩვენმა ამერიკელმა კოლეგებმა მილიონობით ინვესტიციები განახორციელეს. ახლის შექმნას არსებულის განვითარება ჯობია, მაგრამ არა ფლოტის დონეზე, ეს მოტყუება იქნება საზოგადოების“, — განაცხადა იზორიამ.

* * *

თავდაცვის მინისტრის ლევან იზორიას განცხადებით, შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების ირგვლივ არსებულ დისკუსიაში საქართველო აქტიურად მიიღებს მონაწილეობას. მინისტრის განცხადებით ამ საკითხზე სასაუბროდ საქართველოში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაც ჩატარდება.

„ჩვენ კონკრეტული განაცხადი გვაქვს შეტანილი, რომ თებერვალში, როცა ამ საკითხს მეტი კონკრეტიკა მიეცემა, შედგეს ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა, სადაც ჩვენ ჩვენი ინიციატივებით წარვსდგებით“, — აღნიშნა მინისტრმა.

დედაქალაქის ბიუჯეტი 800 მილიონ ლარზე ნაკლები არ იქნება

თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, მომავალ წელსაც პრიორიტეტული საკითხები იქნება დედაქალაქის გამწვანება, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და საბავშვო ბაგა-ბაღები.

„გვაქვს რამდენიმე საინტერესო პროექტი, რომელზეც მუშაობს მერია და 2017 წლის ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული. რაც შეეხება პრიორიტეტს, ჩვენი მთავარი პრიორიტეტი წელსაც იქნება საბავშვო ბაღებსა და პატარებზე ზრუნვა, ასევე ქალაქის გამწვანება და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია. ბიუჯეტის პარამეტრების დაზუსტება ამ დროისთვისაც მიმდინარეობს, თუმცა 800 მილიონ ლარზე ნაკლები არ იქნება მომდევნო წლის ბიუჯეტი“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

* * *

თბილისის მერმა წარმატებული მაგისტრანტები და სოციალურად დაუცველი სტუდენტები დაჯილდოვა. დაჯილდოვების ცერემონია ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში გაიმართა. მაგისტრანტებს სტიპენდია, სოციალურად დაუცველ სტუდენტებს კი მუნიციპალიტეტისგან უმაღლეს სასწავლებელში ერთი სემესტრის სწავლის საფასური გადაეცემათ.

დავით ნარმანიას თქმით, ამ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიის მოპოვება თბილისში რეგისტრირებულ მაგისტრანტ სტუდენტებს შეუძლიათ, ვინც 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში გავლილ ყველა სალექციო კურსში არანაკლებ 91-100 ქულა მიიღო. პირველ ეტაპზე სტიპენდია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 149 წარჩინებულმა მაგისტრანტმა მოიპოვა.

რამაზ ბოლქვაძე: მხოლოდ ხელვაჩაურის სამრეწველო ზონაში 100-მდე საწარმო ფუნქციონირებს

ხელვაჩაურის სამრეწველო ზონას კიდევ ერთი საწარმო შეემატა. როგორც აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი რამაზ ბოლქვაძე აცხადებს, ხელვაჩაურის სამრეწველო ზონაში ამ დროისათვის 100-მდე საწარმო ფუნქციონირებს.

„აჭარაში წარმოების სექტორი ძალიან აქტიურად მუშაობს. მხოლოდ აქ სამრეწველო ზონაში დაახლოებით 100 საწარმო ფუნქციონირებს. დღეს ჩვენ „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გახსნილი კიდევ ერთი საწარმოს მუშაობას გავეცანით. ინვესტორმა 4 მლნ ლარის დაფინანსება მიიღო. დამატებით 2 მლნ ლარის ინვესტიცია უკვე განხორციელებული აქვს და მომდევნო წელს 1 მლნ ლარის განხორციელებას გეგმავს. სამუშაო პროცესში 120 მოქალაქეა დასაქმებული და სამომავლოდ კიდევ 50 დაემატება. ვაგრძელებთ წარმოებით დაინტერესებული მეწარმეების ხელშეწყობას. ჩვენი მთავარი პრიორიტეტი სწორედ საწარმოო სფეროს განვითარებით მიღებული დასაქმების მაღალი მაჩვენებელია. სამომავლოდ კიდევ არაერთი საწარმო გაიხსნება,სადაც ადგილობრივები დასაქმდებიან და ბუნებრივია რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაძლიერდება“, — განაცხადა რამაზ ბოლქვაძემ.

კომპანია „დარ კაპიტალის“ საწარმო წებოვან ცემენტს, თუნუქის სახურავებს, ლურსმნებს, მავთულს, საფასადე და მოსაპირკეთებელ მასალებს, წყლისა და საკანალიზაციო მილებს, მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებს და სხვა პროდუქციას აწარმოებს. ახალი საწარმო აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა რამაზ ბოლქვაძემ დღეს რეგიონის მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად მოინახულა.

შეგახსენებთ, რომ ახალი საწარმო „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში ამოქმედდა. ინვესტორმა 4 000 000 ლარი დაფინანსება მიიღო და ხელშეკრულების მიხედვით 7695 კვ. მ ტერიტორიაზე საწარმო მოაწყო. ამ ეტაპზე უკვე 2 000 000 ლარის ინვესტიცია განხორციელდა და მხოლოდ 2017 წელს დამატებით დაახლოებით 1 მლნ დოლარის ინვესტიცია განხორციელდება. დღეისათვის საწარმოში ჯამში 120 მოქალაქეა დასაქმებული და კომპანიის განცხადებით სამომავლოდ კიდევ 50 დაემატება. შპს „დარ კაპიტალი“ პროდუქციის ექსპორტს მეზობელ ქვეყნებში გეგმავს. მთავრობის წევრებს საწარმოს მუშაობის შესახებ ინფორმაცია შპს „დარ კაპიტალის“ დირექტორმა ბადრი ხიმშიაშვილმა გააცნო.

ლარის ვარდნა თუ გაგრძელდა, შესაძლოა, ელექტროენერგია გაძვირდეს!..



ლარის კურსი უკვე იმ დონემდე გაუფასურდა, რომ შეიძლება ქვეყანაში ელექტროენერგიის გაძვირების საფრთხე გაჩნდეს. საბაზრო გაცვლითი კურსი უკვე 2,45-ის ფარგლებშია. ენერგეტიკოსების შეფასებით კი, დენისა და გაზის ტარიფის გადახედვის საჭიროება დაახლოებით 2,5-ლარიან ნიშნულს მიაღწევს. აქამდე კი აღარაფერია დარჩენილი.

ისიც აღსანიშნავია, რომ დღევანდელი ტარიფები მხოლოდ წლეულს 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედებს და წლის ბოლოს სემეკს მათი გადახედვა მოუწევს. სწორედ ამ დროისთვის არსებობს მოლოდინი, რომ შესაძლოა, ტარიფის გაზრდის მოთხოვნა რომელიმე სადისტრიბუციო კომპანიამ დააყენოს. ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაში ტარიფის მატებას ამ ეტაპზე არ ადასტურებენ.

„კურსის ცვლილებაზე როცა ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რამხელა იყო ეს რყევა, მაშინ როცა ტარიფების კორექტირება გამოიწვია, ახლა ამ ტიპის რყევასთან ჩვენ საქმე არ გვაქვს, ამიტომ ამ თემაზე აქცენტირება მთლად სწორი არ იქნება. იმავდროულად უნდა ვთქვა, რომ კომისია ყოველწლიურად უყურებს ყველა სექტორის ტარიფებს, ყოველი წლის ბოლოს ჩვენი მეთოდოლოგია ითვალისწინებს, რომ აუცილებელია კომისიაში შევიდეს სატარიფო განაცხადი, კომისიამ განიხილოს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. ანუ თავისთავად სატარიფო განაცხადი არ ნიშნავს, რომ მოითხოვება ტარიფების გაძვირება. ამ ეტაპზე კურსის ცვლილება შეშფოთების საფუძველს არ გვაძლევს.

ბოლო ტრენდი აჩვენებს, რომ იმპორტზე დამოკიდებულება მცირდება, იმის გათვალისწინებით, რომ შიდა სიმძლავრეები ვითარდება, თუმცა ამაშიც მონაწილეობს, გარკვეულწილად, ვალუტის კურსი, თუნდაც ის, რომ თბოსადგურები ბუნებრივ აირს ყიდულობენ დოლარში. თუმცა ჩვენ თბოსადგურების ნაწილში ბოლო ტარიფი დავიანგარიშეთ ნიშნულზე 2.4, ამდენად, ეს ნიშნული ჯერჯერობით შენარჩუნებულია“, — აცხადებს სემეკის თავმჯდომარე ირინა მილორავა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის დეკანი გია არაბიძე ამბობს, რომ თუ ლარის კურსმა დოლართან მიმართებაში 2,5 ნიშნულს არ მიაღწია, ენერგოდისტრიბუტორები ტარიფების მატებას არ მოითხოვენ.

მისი თქმით, **პრობლემა უფრო თებერვლისთვის შეიქმნება, როდესაც ენგურჰესი სარეაბილიტაციო რეჟიმში გაჩერდება. მთავრობას სერიოზული ძალისხმევა დასჭირდება, რომ ადეკვატური რეზერვები მოძებნოს. ენგურჰესიდან მიღებული ენერგია იაფია. მისი გაჩერების შემდეგ ცვლილებები შეიძლება მოხდეს, მაგრამ ეს სამომხმარებლო ტარიფს არ უნდა შეეხოს. სისტემამ ეს უნდა მოახერხოს“,** — განმარტა „ბიპიენთან“ არაბიძემ.

უნდა აღინიშნოს „თელასი“ და „ენერგო-პრო ჯორჯია“ ამ ეტაპზე სატარიფო ცვლილებას არ განიხილავენ.

ბექა დანელია

გადაიხედება თუ არა დენის ტარიფი?

ენერგეტიკის მინისტრი დენის ტარიფის გაძვირების წინაპირობას ვერ ხედავს. როგორც ილია ელოშვილმა კომპანია „თელასის“ მიერ სემეკისთვის სატარიფო განაცხადით მიმართვის ფაქტზე კომენტირებისას განაცხადა, ტარიფის დადგენა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის პრეროგატივაა.

„ამ ეტაპზე მსგავსი წინაპირობა არ არსებობს. ეს არის მარეგულირებელი კომისიის პრეროგატივა. ჩვენ რასაც ვხედავთ, ჯერჯერობით ამის წინაპირობა არ არსებობს, რომ ტარიფი გაძვირდეს“, — განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა.

ჩვენი გულის „გამხარებელი“ ბანკების რაოდენობა სწრაფად მცირდება

ბოლო 2 წელიწადში საქართველოს ბაზრიდან 5 კომერციული ბანკი გაქრა. ეს პროცესი კიდევ გაგრძელდება და მალე ქვეყანაში 10-ზე ნაკლები ბანკი დარჩება.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2016 წლის სექტემბრის ბოლოს საქართველოში 17 კომერციული ბანკი იყო. ჩამონათვალში ჯერ კიდევ შედის „ბანკი რესპუბლიკა“, რომლის „თიბისი ბანკთან“ გაერთიანება 2 თვეში ბოლომდე დასრულდება და შესაბამისად, ახალი წლიდან საქართველოში 16 კომერციული ბანკი იქნება. თუმცა ესეც არ არის, ბოლო მონაცემები, რადგან იგივე „თიბისი“ კიდევ ერთი ბანკის შეძენას გეგმავს და, შესაძლოა, მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების რაოდენობა კიდევ შემცირდეს.

ბოლო 20 წლის განმავლობაში კი 16 ბანკი მინიმალური მაჩვენებელია. აქამდე, ყველაზე ცოტა (17) 2006 წელს მოქმედებდა. ბოლო წლებში კლების ტენდენციაა ბანკების ფილიალების რაოდენობის მხრივაც, თუმცა იზრდება სერვის-ცენტრების ოდენობა. სექტემბრის ბოლოს საქართველოში კომერციული ბანკების 142 ფილიალი და 813 სერვის-ცენტრი იყო.

ბოლო დროს მცირე ბანკებზე რომ არაფერი ვთქვათ, საქმიანობის შეჩერების პირას რამდენიმე საშუალო დონის ბანკია. პარალელურად მიმდინარეობს გამსხვილების პროცესი. მაგალითად, „რესპუბლიკა“ და „პროგრესბანკი“ „თიბისიმ“ შეიერთა და უფრო ადრე იგივე ბედი ეწია „კონსტანტასაც“. „ტაო პრივატ ბანკი“ „საქართველოს ბანკის“ მფლობელობაში გადავიდა. გამსხვილების კუთხით გააქტიურებას გეგმას „ვითიბი ბანკი“. ერთი სიტყვით, ბაზარზე ტოტალური გადაჯგუფება მიმდინარეობს.

20 წლის წინათ საქართველოში 61 ბანკი მოქმედებდა, თავისი 242 ფილიალით, თუმცა მათი რაოდენობა სულ რაღაც 5 წელიწადში განახევრდა. კლების ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდა და საბოლოოდ, 2005 წელს 19 ბანკზე ჩამოვიდა, მას შემდეგ კი, დაახლოებით ამ დიაპაზონში მერყეობდა. 2014 წელს ქვეყანაში 21 ბანკი ფუნქციონირებდა, მაგრამ სულ რაღაც 2 წელიწადში მათი რაოდენობა 5 ერთეულით შემცირდა.

როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ეს ტენდენცია სამომავლოდაც გაგრძელდება და დაახლოებით 2-3 წელიწადში საქართველოს საბანკო სივრცე 6-7 ბანკზე მეტს ვეღარ დაიტევს.

„ბანკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა არის კონკურენციის არარსებობა. ეს იმიტომ, რომ საბანკო სექტორი არის ოლიგოპოლიზებული, რაც ამ დარგს განვითარების საშუალებას არ აძლევს. შესაბამისად, საშუალო და წვრილი ბანკები კოტრდებიან და ეს ტენდენცია გრძელდება. ჩემი აზრით, ერთ წელიწადში ბაზარზე სულ 6-7 ბანკი დარჩება. რეგიონალური, მაგალითად, თურქეთის ბანკი შეინარჩუნებს თავის სტატუს-კვოს, იგივე შემიძლია ვთქვა აზერბაიჯანულ ბანკსა და „ვითიბი ბანკზე“, რომელიც ქართულ ბაზარზე საკმაოდ მყარად დგას. არა მგონია, სხვა უცხოური მსხვილი ავტორიტეტული ბანკი შემოვიდეს.

წვრილი საფინანსო ინსტიტუტები ერთ კონკრეტულ სეგმენტს ემსახურებოდნენ, რის გამოც ჩვენ მათ ადრე „ჯიბის ბანკებს“ ვეძახდით. ეროვნულმა ბანკმა საზედამხედველო ნორმალური პოლიტიკა თუ გაატარა, კომერციულ ბანკებს გაკოტრების საშუალებას არ მისცემს. აქვე აღვნიშნავ, რომ პრობლემა მხოლოდ საქართველოში არ არის, აზერბაიჯანსა და სომხეთშიც ბანკები სისტემატურად კოტრდებიან“, — განმარტავს ფინანსური ექსპერტი ლია ელიავა.

საყურადღებოა ისიც, რომ ბოლო 10 წელიწადში სერვის-ცენტრების რაოდენობა თითქმის გასამმაგდა, ხოლო საბანკო ფილიალების რაოდენობა, პრაქტიკულად, უცვლელი დარჩა. ამჟამად ქვეყანაში 813 სერვის-ცენტრი და 142 ფილიალი მოქმედებს.

დათო ბექაური



პრემირებულები და ლაურეატები

ციკლიდან „დროის იეროგლიფები“



კურტ ვონეგუტი ისე გარდაიცვალა, ნობელის პრემია არ ღირსებია.

ამაოდ ელოდა მის მინიჭებას პიტერ აკროიდი, ვიდრე ხელს ჩაიქნევდა.

ამ პრემიის გარეშეა დარჩენილი ერიკ-ემანუელ შმიტი.

წელს ხელი მოეცარებოდა მარგარეტ ეტვუდს.

მოეცარებოდა ადონისსაც (სირია) — მის გამარჯვებას მთელი არაბული სამყარო რომ მოელოდა, როგორც აღიარებული პოეტის, დიდის რანგში რომ აჰყავთ, და ეიმედებოდათ კიდეც, რომ 1988 წლის ტრიუმფი განმეორდებოდა, როდესაც არაბული სამყაროდან ნაჯიბ მაჰფუზს (ეგვიპტე) ერგებოდა ეს ჯილდო.

ჩვენ გივი მარგველაშვილის უდავო წარმატებისა გვწამდა, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი რომ წარადგენდა...

და აი, უეცრად გვამცნობდნენ, რომ ლიტერატურის დარგში 2016 წლის ნობელის პრემია წილად ერგო... ბობ დილანს — სიმღერების ტექსტებისათვის. მოულოდნელი უპირველესად თვითონ გამარჯვებულისათვის აღმოჩნდებოდა, ვერაფრისდიდებით რომ ვერ დაიჯერებდა, აქამდე თუ ატყორცნიდნენ იმ ტექსტებს — და არა ლექსებს... და გაოცებას ამით გამოხატავდა: ვერ ვიჯერებდი, მეგონა, ვიღაც უშნოდ დამცინოდაო.

არა, მას არავინ გახუმრებია, რასაც ადასტურებს გამარჯვებულის დიპლომი და ის კოლოსალური თანხა, ჯილდოდ რომ გადასცემენ, მაგრამ განათლებულ საზოგადოებას კი დასცინა უშნოდ ნობელის პრემიების კომიტეტმა.

და ეს უკვე მერამდენედ!..

ძალიან დასცეს ამ პრემიის ღირსება, ყოველ შემთხვევაში ლიტერატურის დარგში ამის თქმა დაბეჯითებით შეიძლება, უმთავრესად პოლიტიკურ კონიუნქტურას რომ დაუქვემდებარეს გადაწყვეტილებანი და სასიამოვნო გამონაკლისად რჩება ამდენი ხნის განმავლობაში მარი გუსტავ ლე-კლეზიოსა და პატრიკ მოდიანოს სახელები, უსაყვედურო რომ არის მათთვის ეს ჯილდო.

სხვა წლების გამარჯვებულები კი...

მათზე შეიძლება განმეორდეს ის ხუმრობა, გივი ძნელაძემ რუსთაველის პრემიამინიჭებულ ერთ ქართველ მწერალს რომ უთხრა:

— ეს ჯილდო მიღებით კი მიიღე, მაგრამ რად გინდა — ლაურეატი მაინც ვერ გახდიო.

იმათაც — ნობელის პრემია კი მიიღეს, მაგრამ ლაურეატები ვერ გახდნენ.

თუმც თავიანთი კი გაინაღდეს და... შენ აქილიკე, რამდენიც გენებოს.

თავის დროზე ორჰან ფამუქმა მარჯვედ რომ აუღო ალღო პრემიების კომიტეტის მიდრეკილებას პოლიტიკური კონიუნქტურისაკენ, კიდეც ითამაშა მათ გრძნობებსა და მსოფლგანცდაზე... ეს თამაში სამშობლოს დატოვებად დაუჯდებოდა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გადახვწად, მაგრამ წინასწარვე მოეხსენებოდა, რასაც სწირავდა მის მოხვეჭას.

და წელს იმ ადამიანთა რიგს, ნობელის პრემია რომ მოიპოვეს, მაგრამ ლაურეატები ვერ გახდნენ, შეემატებოდა ბობ დილანიც თავისი ყოვლად უმწიფარი ლექსებით, თუკი ლექსებად ვაღიარებთ, და არცთუ ურიგო ტექსტებით, თუკი ამ ჟანრობრივ განსაზღვრებაში ჩავტოვებთ.

არანაკლები სასიმღერო ტექსტები მოგვეპოვება ქართველებსაც — აღარაფერს ვამბობ სიმღერებად გამოყენებულ ჭეშმარიტი პოეზიის ნიმუშებზე — და... მაშ ჩვენს მეტექსტეთა სანობელპრემიო აღზევებასაც უნდა ველოდეთ!..

ეჰ, ვისაც მართლა ველოდით და ვინც მართლა დაიმსახურა ოდესღაც ეს მართლაც უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო, მას გადაუკეტეს ის ტრიბუნა, სად წარდგომაც დაშვენდებოდა მასაც და ნობელის კომიტეტსაც, და სასიამოვნო განცდასაც გაგვიჩენდა, შესაძლოა, სასიკეთო შემოტრიალება ახლა მაინც მოხდეს მათ ცხოვრებაშიო.

როგორც ჩანს, ჯერაც არალიტერატურული გადაწყვეტილებების მოწმენი უნდა შევიქნათ ხოლმე, ზოგჯერ რომ ვერც ავხსნით მოტივს, წლევანდელი შემთხვევისა არ იყოს — ბობ დილანის დაჯილდოებაზე გაგვიძნელდება თქმა: პოლიტიკურმა კონიუნქტურამ გამოიწვიაო!.. აბა მაშ რამ? თუმც იმდენი საფიქრალ-სატკივარი გვაქვს, ამაზე რაღას ვიტეხოთ თავი.

ხოლო გივი მარგველაშვილი — გერმანულენოვანი ქართველი მწერალი — არამარტო საქართველოში აღიარეს, არამედ გერმანიაშიც, აღმატებული ეპითეტები რომ არ ენანებათ მისთვის, როგორც გამორჩეული ლიტერატურული მოვლენისათვის, დიდი სტილისტისა და მხატვრული მოაზროვნისათვის, რომელმაც უმძაფრესი ძალითა და ხელოვნებით გამოხატა ადამიანის ხვედრი ტოტალიტარიზმის ჟამს საერთოდ და საქართველოს დრამატული ბედისწერა გადარჩენის ზღურბლზე.

ჯერ მარტო მისი „მუცალი“ რად ღირს, ამოზრდილი ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურზე“ და თავბრუდამხვევი სტილური ძალმოსილებითა და ფოიერვერკით, ან „კაპიტანი ვაკუში“, ავტობიოგრაფიულ რომანთა წყება... და პიესები და მინიატიურები და ლექსები... ყველა ჟანრში გამორჩეულ წარმატებას რომ მიაღწევდა, ისევე როგორც ფილოსოფიური და ენათმეცნიერული შტუდიებით მოსინჯავდა სრულიად ახალ გზებს ამ მეცნიერულ საუფლოებში.

ადონისს რომ გადაესწრო მისთვის ან მარგარეტ ეტვუდს, ასე ძალიანაც არ დაგვწყდებოდა გული, რაკიღა ისინი... გარდა პრემირებულებისა, ლაურეატებიც გახდებოდნენ, მაგრამ ახლა?..

რას ვიზამთ — ჯერჯერობით კვლავაც კონიუნქტურა ნთქავს ლიტერატურულ გადაწყვეტილებებს ნობელის პრემიის კომიტეტშიც და უკეთეს ჟამს თუ დაველოდებით... მაგრამ არ მოვა ეს ჟამი ხელის გაუნძრევლად, მთავარია, გული არ გავიტეხოთ, და კიდევ — გვწამდეს, რომ გივი მარგველაშვილს ნამდვილად ეკუთვნოდა ნობელის ჯილდო და ლაურეატობაც დაშვენდებოდა...

და გვჯეროდეს ისიც, რომ ამ პრემიის ღირსი ქართველი მწერალი ოთხი-ხუთი გვეგულება კიდევ — ნობელიანტობის უკეთეს გამოვლინებას ვგულისხმობ, თორემ ბობ დილანის სასიმღერო ტექსტებს თუ ავიღებთ საზომად, ასეთ დროს ნობელის ჯილდოს ძართველ მსურველთა დათვლას ველარც ავუვალთ!..

* * *

ისე ნობელის კომიტეტს რომ ვედავებით, ნეტა ჩვენ მაინც ვისწავლოთ ჩვენი ღირსეული მწერლების დაფასება, ნამდვილი ლიტერატურული მონაპოვრისათვის შესაფერისი ჯილდოს გაღება, თორემ აბა ჩვენთან ტრიალებს თუ ტრიალებს კონიუნქტურული გადაწყვეტილებანი იმ ნამდვილის მისაჩქმალად და მისაყრუებლად, ლიტერატურული გემოვნების აბუჩად ასაგდებად და საზოგადოებრივი აზრის დასაბნევად...

რას ვიზამთ?.. მაინც როდემდე შევეგუებით ამ უგვან ვითარებას?..

რას და...

როდემდე და...

როსტომ ჩხეიძე

საქართველო ახალგაზრდა და, იმავდროულად, დასავლური სტილის დემოკრატიაა!

ვაშინგტონში ოფიციალური წყაროები, ასევე აკადემიური წრეები აცხადებენ, რომ საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები თავისუფალი და დემოკრატიული იყო. ექსპერტები, რომლებსაც ჩვენ ვესაუბრეთ, თითქმის ერთხმად ამბობენ, რომ არჩევნების მშვიდობიანად ჩატარება საქართველოს დემოკრატიის მიერ წინ გადადგმული ნაბიჯია.

ნატოში ამერიკის ყოფილი ელჩის კურტ ვოლკერის თქმით, საქართველოში დემოკრატიული პროცესები ღრმავდება და იხვეწება: „არჩევნები მოსახლეობის შეხედულებას ასახავს. სამწუხაროდ, ამ არჩევნებზე კიდევ ერთხელ გამოჩნდა ის, რომ ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის არსებული პერსონალური დაპირისპირება პოლიტიკაზე აისახება. ვფიქრობ, ამომრჩეველი ამ ორ ადამიანს შორის აკეთებდა არჩევანს და არა მათ პოლიტიკურ ფილოსოფიასა თუ პლატფორმას შორის. იმედია, მომავალში საქართველოს დემოკრატია ამ გამოწვევასაც გადალახავს. გულდასაწყვეტია ის, რომ ღიად პრორუსული პარტია პარლამენტში შევიდა და თავისუფალი დემოკრატები და რესპუბლიკელები ვერა. მაგრამ ეს დემოკრატიის ნაწილია. მესმის ირაკლი ალასანიას გადაწყვეტილებაც — თუ თვითონ ვერ შეძლო პარტიის პარლამენტში შეყვანა, ამის გაკეთების შესაძლებლობა სხვას უნდა მისცეს, მაგრამ იმედი მაქვს ის პოლიტიკაში დარჩება“.

„ატლანტიკური საბჭოს“ მკვლევარი არიელ კოენი ამბობს, რომ საქართველომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის ახალგაზრდა, თუმცა, იმავდროულად, დასავლური სტილის დემოკრატიაა. მისი თქმით, არც საქართველოს გარეთ შეცვლილა მდგომარეობა, რის გამოც ქვეყნის ორიენტაცია უცვლელი უნდა დარჩეს: „სამწუხაროა, რომ ისინი პოლიტიკიდან მიდიან. ეს ადამიანები პროფესიონალები არიან და იმედი მაქვს, ერთ დღეს პოლიტიკას დაუბრუნდებიან. პარლამენტის შემადგენლობას რაც შეეხება, ეს დემოკრატიის საფასურია. დემოკრატიულ ქვეყანაში ყოველთვის არ ხდება ისე, რომ ყველასთვის მოსაწონი პოლიტიკური ძალები დაწინაურდნენ. ამერიკაშიც არიან პოლიტიკოსები, რომლებიც არ მომწონს, მაგრამ რას ვიზამთ. თუმცა, მიუხედავად ამისა, საქართველოს მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტს სჯერა — და იმედი მაქვს ეს ასევ გაგრძელდება — რომ დასავლეთთან ახლო ურთიერთობა, განათლება, ვაჭრობა, მოგზაურობა ქვეყნისთვის უკეთესია, ვიდრე რაიმე სხვა“.

არიელ კოენის მოსაზრებას ეთანხმება ჯეფრი რათკეც, სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის წარმომადგენელი. ის იმედს იტოვებს, რომ ცვლილების მიუხედავად, საქართველო დასავლური ღირებულებების ერთგული დარჩება: „მე არ ვიცი, როგორი პოლიტიკა ექნება საქართველოს ახალ მთავრობას, მაგრამ ვფიქრობ, არსებული პოლიტიკის განგრძობითობას დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოს ნატოსთან და ევროკავშირთან ურთიერთობაში. თუ დასავლელი პარტნიორები უწყვეტად ხედავენ იმას, რომ საქართველო დასავლური ღირებულებების ერთგული რჩება, მასთან ურთიერთობა გაცილებით მარტივად წარიმართება“.

„ამერიკის ხმასთან“ საუბარში ექსპერტები ორ საკითხზე თანხმდებიან — საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები ღია, თავისუფალი და სამართლიანი იყო და მეორე, საქართველოს სამომავლო განვითარებისთვის პროდასავლური ორიენტაციის შენარჩუნება კრიტიკული მნიშვნელობის იქნება.

ნუ გეშინიათ, არ გვავნებს...

ღია წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბატონ ალექსანდრე ჯეჯელავას

ბატონო ალექსანდრე,

მოგმართავთ ერთი იმათგანი, ვინც თქვენს დანიშვნას იმედით შეხვდა.

უდავოა, რომ არაორდინალური პიროვნება ბრძანდებით.

მართალია, ამ მხრივ, ბენდუქიძეს მაგონებთ (იმერეთში, გარდაცვლილთან შედარებისას, დასძენენ, მისი დარი ქვა იყოსო), მაგრამ აშკარად დადებითი აურა გშველით.

ადვილად გავიზიარე თქვენი მოსაზრება ინტერნეტის ეპოქაში ინფორმაციის ათვისებასთან დაკავშირებით, რამაც **კონსტანტინე გამსახურდიას** სიტყვები გამახსენა: **„ერუდიცია ზოგს ალექსანდრე მაკედონელის ცხენის სახელის ცოდნა ჰგონია.“**

ჭეშმარიტად!

მასწავლებლისა და მით უფრო პროფესორის მისია თანამედროვე ეპოქაში სრულიად განსხვავებულია: მოსწავლე თუ სტუდენტი ინფორმაციას ინტერნეტითაც მიიღებს, მასწავლებელმა და პროფესორმა მას ანალიტიკური აზროვნება, სიღრმისეული განსჯა და ლოგიკური დასკვნების გამოტანა უნდა ასწავლოს.

რაც მთავარია, მასწავლებელმა/პროფესორმა მოსწავლე/სტუდენტი პიროვნებად და მოქალაქედ უნდა ჩამოაყალიბოს.

უფრო ზუსტად, პირველმა უნდა დაიწყოს, მეორემ დაასრულოს.

მოკლედ, ზემოხსენებულ ვითარებაში, კონსტანტინე გამსახურდია აშკარად თქვენს მხარესაა, მაგრამ დიდი მწერალი ვერაფრით დაეთანხმებოდა თქვენს მოსაზრებას ე. წ. საზეპიროებთან დაკავშირებით.

ცხადია, ვერც მე დაგეთანხმებით.

ამიხსნას ვინმემ, საზეპიროები რა საჭიროა, — ბრძანებთ თქვენ.

მითხრეს, რომ ეს შესანიშნავად ახსნა ბატონმა **ლევან ბრეგაძემ,** მაგრამ ფეისბუქში მის გვერდზე მსგავსი პოსტი ვეღარ ვიხილე.

ვინ და რატომ გააქრო, ვერ მოგახსენებთ.

შევეცდები, ჩემებურად აგიხსნათ.

საზეპიროები მათ პირობითად ჰქვიათ.

ერთი საზეპიროც კი, დღემდე რომ მახსოვს, იძულებითა და ძალდატანებით არ მისწავლია.

მათი წყალობით:

გავიგე, რა არის სამშობლო;

შევიგრძენი მშობლიური ენის სილამაზე და სამუდამოდ შევიყვარე იგი;

მივხვდი, რას ნიშნავს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა და რამ გადაგვარჩინა საუკუნეთა დაუნდობელ ქარტეხილებში...

შეიძლება, შევიმეცნოთ ჩვენი ეროვნული მეობა და ღირსება, თუ არ გვეცოდინება თქვენგან შერისხული ეს „საზეპიროები“?

არსად ჩავიხედავ, ისე მოგახსენებთ:

„თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა“ (რუსთაველი);

„მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, როგორც მეფეს და როგორც კაცს. ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია. გულზვიადიც ვიყავი და მშიშარაც, კეისარს ვებრძოდი, მეშინოდა ხვიარის ფესვებისა, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიღალატია“ (*კ. გამსახურდია);*

„ახლა კი ჩემთვის ნათელია, თუ ივერიის მცირეზე მცირე, რიცხობრივად პატარა ერი როგორ გადარჩა და გადარჩა ის როგორც ერი“ (გალაკტიონი);

„საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ“ (ლადო *ასათიანი)...*

„შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო, შენ ისე ღრმა ხარ, სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად შემოსულმა ვერავინ ნახა“ (ანა)...

მგონი, მეორე „საზეპიროში“ რაღაც გამომრჩა და შემრცხვა.

თქვენ კი... საერთოდ, რა საჭიროაო?!

განათლების სისტემაში უამრავი პრობლემაა, იმათ მიხედეთ.

* * *

უწინარესად, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტს მიხედეთ, ბატონო ალექსანდრე.

მოგეხსენებათ, ის მთელი ჩვენი ქვეყნის სახე და ბარომეტრია.

აი, აირჩიეს ახალი რექტორი.

ახალმა რექტორმა ახალი მოადგილე დანიშნა.

მადლობა ღმერთს, რომ ამ თანამდებობაზე კომკავშირელი ქალბატონი არ დააბრუნა.

მოადგილე პირდაპირ ამერიკიდან ჩამოიყვანა.

ამერიკით დღეს ვეღარავის მოხიბლავ და გააკვირვებ.

ეს, თავისთავად, არც კარგია და არც ცუდი.

ამერიკიდან ჩამოსული ჭკვიანიც ბევრი გვინახავს და სულელიც.

ამ შემთხვევაში, ჯვარი გვწერია.

ბატონი **გიორგი შარვაშიძის** კანდიდატურას იმედით ვუყურებდი.

გამეხარდა მისი არჩევა, თუმცა, ოდნავ მოგვიანებით ხელში ჩამივარდა ერთ-ერთი გაზეთის ის ნომერი, სადაც ბატონი **ელიზბარ ჯაველიძე** პრემიერ-მინისტრს მიმართავდა, არ დაუშვათ უნივერსიტეტში სოროსელი შარვაშიძის მისვლაო.

თავზარი დამეცა.

იმავე დღეს ერთმა მეგობარმა მომწერა, ეგ იმის ოჯახში ხშირად დადიოდაო, — მითხრა და ყოფილი აკადემიური საბჭოს ყველაზე ოდიოზური (ნაციონალი) წევრი დამისახელა.

თავზარმა გამიმეორა.

თუმცა, იმედი მაინც არ გადამიწურავს.

* * *

რაც შეეხება ამერიკას, უთუოდ გეცოდინებათ, კარგთან ერთად, რამდენი სისულელე და უაზრობა შემოდის ამ მოწინავე ქვეყნიდან. რამდენი უნიჭო ახერხებს იქაურ პრესტიჟულ ჟურნალებში ისეთი „სამეცნიერო“ სტატიების გამოქვეყნებას, „ყვავს რომ ხიდან ჩამოაგდებს.“

ორიოდე მაგალითს ჩემი სფეროდან — ჟურნალისტიკისმცოდნეობიდან (მედიალოგია) შემოგთავაზებთ.

აი, რა წერია აშშ-დან შემოსულ ერთ-ერთ სახელმძღვანელოში:

„ჟურნალისტები ისევე მიდრეკილნი არიან ოჯახური ცხოვრებისკენ, როგორც სხვები... ჟურნალისტები, ისევე როგორც მთელი მოსახლეობა მინერალურ წყალს სვამენ, მეზობლებთან ერთად ეკლესიაში დადიან.“

ახლა ვნახოთ აშშ-ში არაერთხელ ტრენინგგავლილი ჩვენი (თსუ-ს) პროფესორი როგორ აზროვნებს:

„ბეჭდურ მედიაში ნებისმიერ ადგილს თავისი „დაკვეთა“ და დატვირთვა აქვს, რომელიც გაზეთის ენაზე, თავისი გზავნილებით კონკრეტული აუდიტორიის სოციალურ დიალექტსაც აგნებს. თუ განხილვის საგანი სწორედ ეს სვეტებია, ეს არ უნდა ნიშნავდეს მის სრულ იზოლაციას ფორმობრივი სტატუსიდან, პირიქით, პუბლიცისტური სვეტი სასურველია, ინარჩუნებდეს თავის ოპტიკურ, ვიზუალურ იერსახეს (სტილი დაცულია — **ი. ჭ.**)“.

ბატონო ალექსანდრე, გაიგეთ რამე?

თუ ასეთ „საზეპიროებს“ გულისხმობთ, უყოყმანოდ დაგეთანხმებით.

არ იფიქროთ, რომ დასახელებას ვერიდები. არაერთხელ დამისახელებია. მთავარი და ტრაგიკული ის არის, რომ ლუარსაბ თათქარიძის მსგავსად, ეს პროფესორი ბევრს ჰგავს, ბევრი კიდევ — მას (სხვათა შორის, თურმე, მის ოჯახში სტუმრობდა ხოლმე ბატონი შარვაშიძე).

აი, ასეთი პროფესორები დაულაგებენ ბატონ ჩხენკელს (თსუ-ს ახალ პრორექტორს) თავიანთ „ამერიკულ პუბლიკაციებსა“ და იქაურ ტრენინგებზე მიღებულ სერტიფიკატებს.

იმედია, ოკეანედალეულს ამით ადვილად ვერ მოხიბლავენ.

ვნახოთ...

და ბოლოს, ბატონო ალექსანდრე, ნუ გეშინიათ, არ ავნებთ ჩვენს ახალგაზრდებს „საზეპიროები.“ მაგალითად, ხომ შეუძლებელია, ამის დასწავლამ რაიმე დაგვიშავოს:

„ღმერთო, სამშობლო
მიცოცხლე, —
მძინარიც იმას ვდუდუნებ...“

პატივისცემით,
იოსებ ჭუმბურიძე

◎ ამასაც მოვესწარითო!..

ეშმას შვილები

(პირველი გვერდიდან)

იმ დღეს სახლში მისულ ომარ ყოჩიაშვილს ავადმყოფი მეუღლე, რომელიც ბოლო დროს, ფაქტობრივად, ბინიდან არ გადიოდა, შინ არ დახვდა. კაცმა მეუღლე ჯერ მეზობლებში, მერე „შვილთან“ მოიკითხა, თუმცა იმან უპასუხა, რომ არაფერი იცოდა. ამის მერე ომარ ყოჩიაშვილმა განცხადებით პოლიციას მიმართა. ყოჩიაშვილების სადარბაზოსთან დამონტაჟებული სათვალთვალო კამერის ჩანაწერის ნახვით დადგინდა, რომ ქალბატონი სახლიდან არ გასულა, შემდეგი ორი კვირის განმავლობაში კი სამართალდამცველებმა ბატონი ომარიც და ქალიშვილიც არაერთგზის დაკითხეს.

რამდენიმე დღის შემდეგ პოლიციამ ლუბა ყოჩიაშვილის სხეულის დანაწევრებულ და დანახშირებულ ნაწილებს მიაგნო, მაგრამ ეს ამბავი არ გაუმხელია. თუმცა კი, როგორც ჩანს, გამოძიებას გარკვეული ეჭვები უკვე ჰქონდა, პოლიციაში იცოდნენ ირმას ღამის თავგადასავლების ამბები, თუ როგორ დადიოდა ტაქსებით და მძღოლებს „აგდებდა“, მისი სექტაში გაწევრების შესახებაც ცნობილი იყო...

გამოძიების ცნობით, სამხედრო აკადემიაში ფილოსოფიის ყოფილი ლექტორი ლუბა ყოჩიაშვილი თმაგაპარსულმა და თვალებთან რაღაც ჯოჯოხეთური ხაზებით „დამშვენებულმა“ ირმამ და მისმა თანამზრახველებმა, ჯერ ელექტროშოკით გათიშეს, შემდეგ გაგუდეს, მერე დანით აკუწეს, მოჭრილი თავით იბურთავეს, სხეული დაანაწევრეს, რაღაც ნაწილები შეჭამეს, მერე სადარბაზოს უკანა კარიდან ჩანთაში ჩატენილი გაიტანეს და ირმას მეგობარ, სექტის ერთ-ერთი ლიდერის ბექა შენგელიას ნაქირავებ ბინაში მიიტანეს, ბოლოს კი გლდანში, მე-8 საპყრობილის ახლოს, გაუქმებულ ნაგავსაყრელზე ამოთხრილ ორმოში ჩადეს, ბენზინი გადასხეს და დაწვეს.

დნმ-ის ანალიზით გამოძიებამ დაადასტურა, რომ გლდანის გაუქმებულ ნაგავსაყრელზე ნაპოვნი ცხედრის დანაწევრებული ნაწილები ლუბა ყოჩიაშვილს ეკუთვნის. ნაგავსაყრელზე საეჭვო კვალს მოხუცმა მამაკაცმა მიაგნო, რომელმაც ამის თაობაზე პოლიციას აცნობა. იმის გამო, რომ პოლიციას თავიდანვე ეჭვი ირმაზე ჰქონდა, მის სამოსელში ჩიპი დაამონტაჟეს და თვალთვალთან ერთად თან ჩუმად უსმენდნენ კიდეც. საზარელი კიდევ ისიც აღმოჩნდა, რომ ეს არაადამიანები ომარ ყოჩიაშვილის მოკვლასაც გეგმავდნენ. ირმას მისმა საყვარელმა სექტანტური ჯგუფის ლიდერმა ბექა შენგელიამ დაურეკა და უთხრა ისიც სახლში უნდა მოვკლათო...

ამჯერად პროკურატურა რიტუალური მკვლელობის ვერსიას განიხილავს, ხოლო დღეს უკვე დაკავებულნი არიან 1997 წელს დაბადებული ირმა ყოჩიაშვილი, 1993 წელს დაბადებული ბექა შენგელია, 1999 წელს დაბადებული, ვინმე თბილისელი დრამატურგის ქალიშვილი, თავადაც მომსახიობო და მომხატვრო ნინა ჩ., რომლებსაც განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ ჯგუფურ მკვლელობაში ედებათ ბრალი. კიდევ ორი პირი, რომელთაგან ერთი არასრულწლოვანია, დაკავებულია დანაშაულის დამალვის ბრალდებით.

ამ შემაძრწუნებელი დანაშაულის გარშემო გამოძიება და აღშფოთებული ხალხის პროტესტი გრძელდება...

ვახტანგ ბაზიარი

გურჯაანის სოფლებში საირიგაციო მომსახურება აღდგა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ გურჯაანის მუნიციპალიტეტში ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის გ-40 გამანაწილებელი არხის სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებს.

პროექტის ღირებულებაა 1 900 000 ლარი. რეაბილიტაციის ფარგლებში აღდგება არხის 22 კილომეტრიანი მონაკვეთი. შედეგად, მომავალი სარწყავი სეზონისათვის მუნიციპალიტეტის 5 სოფლის მოსახლეობა აღდგენილი საირიგაციო მომსახურებით ისარგებლებს 580 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის მოსარწყავად.

ყავა 20%-ით გაძვირდა

თებერვლიდან ყავის ფასი მაქსიმალურ ნიშნულამდე ავარდა. ამ პერიოდში „არაბიკას“ ღირებულება 20%-ით გაიზარდა, რისი მიზეზიც ბრაზილიასა და ვიეტნამში მოუსავლიანობაა. ყავის უმსხვილესმა მწარმოებელმა ბრაზილიაში, კომპანია Cooxupe-მ 2016 წლისთვის ექსპორტის პროგნოზი შეამცირა. ასევე „არაბიკას“ ფუჩერსები ლონდონის ბირჟაზე 3%-ით გაძვირდა.

ანალიტიკოსების განმარტებით, ბოლო 6 თვეა, ყავის ფასი მუდმივად იზრდება.

◎ ღირს დაფიქრებად!

სამხედრო პური

ფრონტისა და ზურგის ძლიერების გარანტი

ძალიან საინტერესოა ქართული ჯარის კვების გამოცდილება. სურსათ-სანოვაგე ხომ ფრონტისა და ზურგის ძლიერების ნაწილია, ძველად ქართველ მებრძოლებს უმეტესად შოთს უცხობდნენ, დოლბანდში ახვევდნენ და ხურჯინით ცხენს აჰკიდებდნენ. არის ცნობები, რომ ჯარში საკვებად კალორიული ჩურჩხელაც მიჰქონდათ. იმ დროს ქართული პურის ცხობა რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა, რაც მეტად სურნელოვანს და მრავალფეროვანს ხდიდა მის გემოს.

დღეს მეტად უდარდელად ეკიდებიან ასეთ საკითხებს. მაგალითად 90-იან წლებში საქართველოში შესანიშნავი „მიულერის“ მაკარონის ხაზი ამოქმედდა „თემქა-პურში“ (პურის ქარხანა №8), თუმცა ქართულ ჯარს კი უცხოთიდან შემოტანილ მაკარონს აწვდიდნენ. რაც შეეხება პურს – ტენდერებს არა ტრადიციული კლასიკური ტექნოლოგიით მომუშავე (სრულყოფ.თექ.) საწარმოები იგებდნენ, არამედ ისინი, ვინც სწრაფად და იაფად მიაწვდიდა პურს! ამაზე დასკვნები თქვენთვის მომინდვია, მკითხველო.

დაგვეთანხმებით, 90-იან წლები პურის მრეწველობისთვის ურთულესი აღმოჩნდა, შეგახსენებთ: ენერგოკრიზისი, ძმათა დაპირისპირება ქარხნებში, პურის ნორმირება, პრობლემები რაოდენობასთან დაკავშრებით, ქარხნებში სამხედრო დაცვა იდგა, რადგანაც რაიონებში ყველგან არ ცხვებოდა პური და ეს დაძაბული გარემო უფრო გაართულა ენერგოკრიზისმა. მეპურეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თბილისელებს უპურობა არ უგრძნიათ.

როდესაც ამ დროს ვიხსენებდი უნებურად დავინტერესდი, როგორი იყო მდგომარეობა 40–იან წლებში, მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას, როდესაც თბილისში მხოლოდ ოთხი პურის ქარხანა მუშაობდა: №1 ორჯონიკიძის ქუჩაზე, №2 პურის ქარხანა სამგორის ქუჩაზე, №3 პურის ქარხანა ვერაზე და №4 პურის ქარხანა ნახალოვკაში, ზესტაფონის ქუჩაზე. მაშინდელი პლაკატები ასეთი იყო „მეტი პური ფრონტისა და ზურგისთვის“. კოლმეურნეობები და მეურნეობები დღე და ღამეს ასწორებდნენ შრომაში. თქვენ წარმოიდგინეთ – სახნავი და სათესი ტექნიკა, საწვავი მთლიანად ფრონტისათვის იყო მობილიზებული და სახნავ-სათესად მიწის დასამუშავებლად ძველ მეთოდებს – ცხენსა და ხარ-კამეჩს, ზოგჯერ ძროხასაც კი იყენებდნენ. მოგეხსენებათ, მშიერი დრო იყო, ურთულეს პირობებში უწევდა შრომა მცხობელებს განსაკუთრებით იქ, სადაც ცხელი, დახურული და გარედან ჩაბნელებული გარემოს მიუხედავად (შესაძლო დაბომბვისაგან) 12-საათიანი ცვლებით, დღე და ღამე, სხვადასხვა ინგრედიენტების დეფიციტის მიუხედავად, აწარმოებდნენ პურს. ფქვილში ურევდნენ სიმინდის ფქვილს, შვრიას, სელის ფქვილსაც.

ფორმები იზეთებოდა ნებისმიერი ზეთით, და როცა ამის საშუალება არ იყო, ნავთითაც კი. ხშირად ფქვილთან ერთად უმატებდნენ დანაყულ ბალახს, ხის ქერქს.სატყეო აკადემიის (რუსეთში) არქივებში აღმოჩნდა თანამშრომლებისთვის გამოცხადებული მადლობა საკვები ცელულოზის ცხობაში გამოყენების გამო, რომელმაც არაერთი სიცოცხლე იხსნა შიმშილისგან. ცნობილი იყო თხევადი პურის, ანუ მარილის დოზის გაზრდისა და თხელი ცომის ყალიბში ჩასხმით პურის ცხობის მეთოდი. 1944 წლიდან, როდესაც მეორე მსოფლიო ომში მოკავშირეები ჩაერთვნენ, პურის ცხობაში გამოყენებული იყო სოიოც. სხვათა შორის ბევრ ქვეყანაში რაღაცა დოზით სოიოს დღესაც იყენებენ პურის ცხობისას. მოვიპოვე გერმანელი საკონცენტრაციო ბანაკებში პურის ცხობის რეცეპტურა:

შაქრის ჭარხლის გამონაწური 40 %; ქატო 30%; ხის ნახეხი 20 %; ცელულოზის ფქვილი ფოთლების ან ჩალის 10 %; ასევე ბლოკადის პურის რეცეპტურა: ცეხვილი ჭვავის ქფვილი 10-12 %; ჭარხლისა და ცხიმოვანი ნაწარმის გამოწურული მასა, საკვები ცელულოზა, წიწვოვანი 88-90 %;

ბოლო წლებში რუსეთში ერთგვარ ტრადიციად იქცა 9 მაისს, ვეტერანთა შეხვედრისთვის იმ დროინდელი რეცეპტურით პურის ცხობა და აღადგინეს მაშინდელი ფრონტის პურის სამი სახეობის რეცეპტურა. ერთ-ერთის სახეობაა კილოგრამნახევრიანი მომჟავო „სერი“. მასში ვიტამინები და მინერალური შემადგენლობა მაღალი და სასარგებლოა. ამას განაპირობებს უხეში დაფქვა რადგანაც ხორბალში არსებული ყველა სასარგებლო ნივთიერება პურშია უშუალოდ, სამხედრო ნაწილებში კი,რომლებიც ფრონტის ხაზზე იყო განლაგებული, არავითარ დანამატებს არ მოიხმარდნენ (ქფვილი, მარილი, წყალი).

1941 წელს, როდესაც მოსკოვიდან უკუაგდეს გერმანელები, მოსკოვში კვების მრეწველობის ინსტიტუტის პურპროდუქტების კათედრის თანამშრომელთა წინაშე სახელმწიფომ დასვა საკითხი, რომ არმიისათვის შეექმნათ მაღალხარისხიანი ბლითები (სუხარი), რომლებიც მაღალკალორიული იქნებოდა და არ დაიფშვნებოდა, თანაც კარგად ლბებოდა ადუღებულ წყალში. არავითარი დანამატები იმ დროისათვის არ იხმარებოდა. უმოკლეს დროში შექმნეს საშრობი ტექნოლოგია, რომელმაც მაღალი დონის ბლითის (სუხარის) გამოშვების დაწყება გახდა შესაძლებელი.

თქვენ წარმოიდგინეთ, ომისდროინდელი სუხარი მოსკოვში მუზეუმში დღესაც ინახება და ეს ნიმუშები დღესაც უმაღლესი ხარისხისაა (იჭმევა). იმ დროისთვის ნებისმიერ პურის საწარმოებს უნდა შეძლებოდა საჭიროების შემთხვევაში ასეთი სუხარის გამოშვება. დღესაც რიგ სამხედრო ნაწილებსა და უშიშროების სამსახურებს საჭიროების შემთხვევაში ასეთ პროდუქციას აწვდიან. დღეს უფროსი თაობის ადამიანები, სპეციალისტები იმასაც იხსენებენ, რომ პურის საწარმოებში უკანასკნელები ტოვებდნენ ომის დროს ამა თუ იმ ქალაქს და პირველები უბრუნდებოდნენ აღორძინებულ ქალაქებს, რაც ერთგვარი სიცოცხლის ნიშანი იყო. ამიტომ ბევრმა უნდა იცოდეს, რომ პური არა მხოლოდ საკვები პროდუქტია, ის სტრატეგიული №1 პროდუქტია თავისი არაჩვეულებრივი თვისებებით (ნეიტრალური, ყველასათვის სასარგებლო).

ბევრმა შესაძლებელია, არც იცოდეს, რომ დღეს პური კოსმოსურ ხომალდებსაც კი მიაქვთ და ის ერ-ერთი პირველი საკვები პროდუქტია. ჩემი იმფორმაციით, ასეთი პური მზადდება მოსკოვის ახლოს ქალაქ ბირიულოვოს საკვების ექსპერემენტალურ ქარხანაში. კოსმოსური პურის ცომი მზადდება სუბლიმაციის მეთოდით – ჯერ გაყინვა და შემდგომ გაცხელება. მზადდება თეთრი და შავი პური, რომელიც ორთვე-ნახევრის განმავლობაში ინარჩუნებს სასაქონლო სახეს.

მალხაზ დოლიძე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე

◎ გათვლები და რეალობა

ეკონომიკური ზრდა საქართველოში

წინასწარი შეფასებით, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2016 წლის სექტემბერში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 1,5% შეადგინა, 2016 წლის I კვარტალში – 2,2%, ხოლო 2016 წლის დასაწყისიდან ცხრა თვის საშუალო რეალურმა ზრდამ – 2,6%. ეს მონაცემი ოდნავ აღემატება საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2016 წლის პროგნოზირებულ მაჩვენებელს, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური ზრდა საქართველოში 2016 წელს 2.5% უნდა იყოს და ჩამორჩება მსოფლიო ბანკის უფრო ოპტიმისტურ პროგნოზს (3%).

გამოქვეყნებულია 2016 წლის პირველი კვარტალის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის დეტალური მაჩვენებლებიც, რომელთა მიხედვით საქართველოს მშპ-ში ძირითადი წვლილი შეიტანეს ვაჭრობამ (15.9%), მრეწველობამ (15.7%), ტრანსპორტმა და კავშირგაბმულობამ (11.6%).

ასევე, პირველი კვარტალის მონაცემებით, რეალური ეკონომიკური ზრდა 2016 წლის პირველ ნახევარში იყო 2.8%, რაც ნაკლებია გასული წლების პირველ კვარტლებში აღნუსხულ წლიურ მაჩვენებლებზე. ამ პერიოდში ეკონომიკური ზრდის მონაცემში ყველაზე მნიშვნელოვანი წილი მოდის მშენებლობასა (0.94 პროცენტული პუნქტი) და ფინანსურ საქმიანობაზე (0.35 პროცენტული პუნქტი). ამასთან, ორნიშნა ციფრებით გამოიხატა შემდეგი დარგების ზრდის ტემპი: სამთომოპოვებითი მრეწველობა – 26.6%, მშენებლობა – 18.2%, სასტუმროები და რესტორნები – 11.2%; კლება აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: ტრანსპორტი (-3.5%), ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება (-1.5%) და ვაჭრობა (-0.6%).

უკანასკნელი რამდენიმე წლის კვარტალური ზრდის დინამიკა, გარკვეულწილად, ეკონომიკურ შენელებას აჩვენებს. თუ 2013 წლის მეოთხე კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეკონომიკურმა ზრდამ 7.6% შეადგინა, ბოლო ექვსი კვარტალის მანძილზე ეს მაჩვენებელი, საშუალოდ, მხოლოდ 2.6%-ია, რაც საქართველოს მსგავსი განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის ძალიან დაბალია.

ეკონომიკური აქტივობის კიდევ ერთ მნიშვნელოვაი ინდიკატორი ეკონომიკისათვის გაცემული სესხების ზრდის ტემპია.

როდესაც ეკონომიკის დაკრედიტება კლებულობს, ეს მიუთითებს ადგილობრივი მოთხოვნის შემცირებაზე, რაც ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს ინდიკატორი 2016 წელს შემცირებულია, კერძოდ, თუკი 2015 წელს ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების საშუალო წლიური ზრდა 31.9% იყო, 2016 წლის დასაწყისიდან შვიდი თვის განმავლობაში სესხები, საშუალოდ, მხოლოდ 9.3%-ით იზრდებოდა. აღსანიშნავია, რომ დარგების მიხედვით განსაკუთრებით სწრაფად მატულობდა მშენებლობაზე (31.2%) და სასტუმროებსა და რესტორნებზე (18.5%) გაცემული სესხების წილი, მაშინ როდესაც ვაჭრობაზე, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე გაცემული სესხების მოცულობა მკვეთრად შემცირდა, საშუალო მაჩვენებლებით, შესაბამისად, 8.5% და 11.4%-ით. ასევე მკვეთრად იკლო სამომხმარებლო სესხების ზრდის ტემპმა – თუ 2015 წელს საშუალო მაჩვენებელი 21.3% იყო, საანგარიშო პერიოდში ის მხოლოდ 1.6%-ს გაუტოლდა. სერიოზულად შემცირდა ასევე, ჯანდაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე გაცემული სესხების ოდენობაც, თუმცა, ამ კატეგორიის მთლიან სესხებში მათი მცირე ხვედრითი წილიდან გამომდინარე, აბსოლუტურ მაჩვენებლებში ეს კლება მნიშვნელოვანი არ ყოფილა. აღსანიშნავია, რომ კლების ამგვარი ტენდენცია მთელი წლის მანძილზე არსებობს და ზრდის ტემპი კლებულობს იმ დარგებშიც კი, რომელთა დაკრედიტება გაიზარდა წლის განმავლობაში (გარდა მშენებლობის დარგისა, რომელიც წლის დასაწყისში 22-25-იანი ზრდით, ხოლო ივლის-აგვისტოში 41-45%-იანი ზრდით ხასიათდებოდა).

საპროცენტო განაკვეთები კვლავაც უფრო დაბალია უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებზე, ვიდრე ლარში გაცემულ სესხებზე, თუმცა ფაქტია იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების კლების ტენდენცია ორივე ვალუტაში და შედარებითი სტაბილურობა სხვა ტიპის სესხების შემთხვევაში.

შესაბამისად, არც ეკონომიკის ზრდისა და არც ეკონომიკის დაკრედიტების მაჩვენებელი არ იძლევა შესაძლებლობას, რომ 2016 წელს მნიშვნელოვან ეკონომიკურ განვითარებაზე ვისაუბროთ.

ნინო ევგენიძე

ჰაკერების გამჟღავნებული სიმართლე,

ანუ აფხაზეთის კურატორები კრემლში და მათი ზრახვები

ოქტომბრის ბოლოს, ჰაკერებმა, უკრაინული ჯგუფიდან „კიბერხუნტა“, გამოაქვეყნეს ორი ათასამდე წერილი, რომელიც მათ რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსის ვლადისლავ სურკოვის მისაღების ელექტრონული ფოსტის გატეხით მოიპოვეს. წერილები ცხადყოფს, თუ როგორ ცდილობდა რუსეთი ყირიმის უკრაინისაგან მოწყვეტას ბევრად უფრო ადრე, ვიდრე მაიდანის მოვლენები დაიწყებოდა. მიმოწერა ნათელს ფენს იმას, თუ რა მიზანს ისახავს და როგორ ერევა რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე ვლადისლავ სურკოვი და მისი კანცელარია აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შიდა საქმეებში. ჩემს შეკითხვებს პასუხობს ჩემი კოლეგა, რადიო „ეხო კავკაზას“ რედაქტორი დემის პოლანდოვი, რომელიც დეტალურად გაეცნო უკრაინელი ჰაკერების მიერ ინტერნეტით გამოქვეყნებული წერილების შინაარსს და ეჭვი არ ეპარება მათ ავთენტურობაში.

კობა ლიკლიკაძე: დემის, შენ ვარაუდობ, რომ ჰაკერულ ჯგუფ „კიბერხუნტის“ მიერ გამოქვეყნებულ მასალებს, რომლებშიც რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწის ვლადისლავ სურკოვის კანცელარიის მიერ აფხაზეთში შექმნილი ვითარების შეფასებაზეც არის მიმოწერა, „აფეთქებული ბომბის“ ეფექტი ექნება აფხაზეთის საზოგადოებაში? რატომ, რა არის ამ ელექტრონულ წერილებში ასეთი მოულოდნელი?

დემის პოლანდოვი: საერთოდ, ყველაზე მოულოდნელი ამ ისტორიაში ისაა, რომ ასეთი მიმოწერა საზოგადოების კუთვნილებად იქცა. ესაა, დაახლოებით, 2400 წერილი, რომლებიც თვალნათლივ აჩვენებენ, თუ როგორ მუშაობს რუსეთი აფხაზ პოლიტიკოსებთან, და თუ ზემოქმედების რა მეთოდები მოეპოვებათ მათზე რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწეს ვლადისლავ სურკოვსა და მის თანაშემწეებს. ეს ის თემაა, რასაც ასე საჯაროდ, რა თქმა უნდა, აფხაზეთში არავინ განიხილავს. უფრო სწორად, არ არსებობს პოლიტიკოსების არანაირი განცხადებები, არანაირი კომენტარი არ გაკეთებულა პრეზიდენტის ან რომელიმე პოლიტიკური პარტიის ლიდერის მხრიდან. თუმცა, ყველანი შოკირებული არიან, რადგან პოლიტიკაში ყოველთვის არსებობს გარკვეული საკითხები, რაც საჯაროდ არასოდეს გამოდის.

— მაგრამ სურკოვს საჯაროდაც შეეძლო ეთქვა ისეთი რამ, ან შეეთავაზებინა აფხაზებისათვის, რაც ყოველთვის იწვევდა შიდა მღელვარებას. აგერ, თუნდაც, 2016 წლის თებერვლის „აფსნიპრესის“ ცნობა ავიღოთ: „რუსეთთან საზღვარი მომავალში უნდა გაუქმდეს. ეს გასათვალისწინებელია ჩვენს ქვეყნებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით“. ეს სურკოვმა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბასთან შეხვედრის დროს განაცხადა და მახსოვს, ამასაც მოჰყვა გაუგებრობები.

— ამ დოკუმენტებს თუ ნახავთ, მათში აშკარად გასაგებია, თუ რა სურს რუსეთს. და მას არა მხოლოდ სურს, არამედ რუსეთი ამ ყველაფერს აფხაზეთში პუნქტობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებს. მეტიც, სურკოვის კანცელარიის მიმოწერიდან ირკვევა, რომ აფხაზეთის საპრეზიდენტო კანდიდატები 2014 წელს წარმოდგენილ პუნქტებს დაეთანხმნენ არა მხოლოდ რაულ ხაჯიმბა, არამედ ასლან ბჟანიაც. ისინი, კერძოდ, დაეთანხმნენ იმას, რომ გადაწყდეს საზღვრის საკითხი. ერთ-ერთი შეთანხმება ითვალისწინებს საზღვრის დახურვას მდინარე ენგურზე და მის გახსნას მდინარე ფსოუზე. და ამ ვითარებაში ვლადისლავ სურკოვი სრულიად მკაფიოდ საუბრობს რუსეთის პოზიციაზე, ის ამას გულწრფელად აცხადებს და ეს იწვევს სკანდალს აფხაზეთში, რადგან ეს ძალიან სადავო მომენტია. თუმცა, არსებობს სხვა საკითხები, რომლებიც ასევე იწვევს დიდ კამათს. სახელდობრ, რუსეთს სურს, რომ მისი სპეცსამსახურების, მისი საბაჟო სამსახურების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ არა მხოლოდ მდინარე ენგურზე, არამედ ასევე საზღვაო პორტებში და აეროდრომებზე, ანუ მოსკოვს სურს, რომ რუსეთი მთლიანად აკონტროლებდეს აფხაზეთის საზღვრებს.

— დემის, სიტყვამ მოიტანა და გკითხავ, რაკი საზღვარს და უსაფრთხოებას შეეხე, მიმოწერაში, რომელმაც ჰაკერული გზით გაჟონა ინტერნეტში, აფხაზეთის ერთობლივ თავდაცვაზე თუა საუბარი და, საერთოდ, რას ნიშნავს თვითგამოცხადებული აფხაზეთისა და რუსეთის შეიარაღებული ძალების ერთობლივი ხელმძღვანელობა, ვინ იქნება მისი მეთაური, აფხაზი გენერალი, თუ — რუსი?

— აქ ლაპარაკია გაერთიანებულ სამხედრო დაჯგუფებაზე. ესაა ძალიან რთული დოკუმენტი, რომელიც, საომარი მოქმედების შემთხვევაში, სამხედრო ოპერაციების მართვის ერთობლივი ცენტრის შექმნას ითვალისწინებს. ეს ლოგიკურიც არის, რადგან ომის დროს არ შეიძლება იყოს რამდენიმე სარდლობა. მშვიდობიან დროს, ცხადია, ცალკე არსებობს თავდაცვის სამინისტრო, მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურებით. მაგრამ, საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, იქმნება ერთობლივი ცენტრი რუსეთის ხელმძღვანელობით.

— მოდი, დავუბრუნდეთ ჰაკერულ ჯგუფ „კიბერხუნტის“ მიერ მოპოვებულ და ინტერნეტში განთავსებულ მიმოწერას რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწის კანცელარიიდან. ამ მიმოწერიდან ირკვევა, რომ სურკოვისა და მისი თანამშრომლების მეთოდურ ზეწოლას აფხაზეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე ჰქონია წარმატება და შენ ამბობ, რომ მათ ნაწილს თანხმობაც გამოუთქვამს ზოგიერთ მიუღებელ პირობაზე. თუ ეს წერილები სიყალბეა?

— არა, ეს აბსოლუტურად არ არის სიყალბე. ასეთი რამის გაყალბება შეუძლებელია, რადგან ეს, დაახლოებით, 2 ათასამდე წერილი, რამდენიმე ადამიანის ყოველდღიურ მუშაობას ასახავს. ეს ადამიანები ამზადებდნენ პრესის მიმოხილვას, ისინი ხელმძღვანელობას უგზავნიდნენ ყველაზე მნიშვნელოვან ყოველდღიურ კორესპონდენციებსა და წერილების, მათ შორის, ჩვენი სტატიების შინაარსსაც.

— მაგრამ რაულ ხაჯიმბა იძულებული გახდა, რომ დათანხმებოდა ამ ყველაფერს?

— დაეთანხმა ყველა! სხვა საკითხია, რომ ამ მიმოწერის თანახმად, რუსეთის მხარეს ჰქონდა ეჭვები, შეასრულებდა თუ არა რაულ ხაჯიმბა იმას, რაც სურკოვს დაჰპირდა. იყო ასეთი მომენტი, როდესაც აფხაზეთის პრეზიდენტის არჩევნების დროს ახალგაზრდულმა მოძრაობა „აინარმა“ მოითხოვა კანდიდატებისაგან, რომ მათ ხელი მოეწერათ საზოგადოებრივ შეთანხმებაზე, რომელშიც პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ კანდიდატი, პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, კისრულობდა ვალდებულებას, არ მიეღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც შეამცირებდა აფხაზეთის სუვერენიტეტს. და იყო მეორე შეთანხმება, რომელიც შეეხებოდა უძრავი ქონების გაყიდვაზე მორატორიუმს. და რაულ ხაჯიმბამ ამ შეთანხმებას ხელი მოაწერა. მოაწერა ხელი კიდევ ორმა პრეზიდენტობის კანდიდატმა, ხოლო ვინც ხელი არ მოაწერა ამ საზოგადოებრივ შეთანხმებას, ეს იყო ოპოზიციონერი კანდიდატი რაულ ბჟანია. რაულ ხაჯიმბამ რუსეთს პირობა მისცა, რომ ამ საზოგადოებრივ ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერდა, მაგრამ შემდეგ მოაწერა ხელი. და აი, სურკოვის ერთ-ერთი თანამშრომელი, ვინმე მამონოვი ასეთ რამეს წერს წერილში, რომელიც ჰაკერული გზით გავრცელდა: ეს არის ცუდი ნიშანი ხაჯიმბასაგან, რომელიც დამოუკიდებლად მოქმედებას არჩევს და გარემოცვასთან შეუთანხმებლად შეუძლია მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება. და აქ მინდა ამ გარემოცვაზე ვთქვა ორი სიტყვა.

— დემის, ამ მიმოწერაში ძალიან ნეგატიურ კონტექსტში იკითხება ერთი აფხაზი პოლიტიკოსის ალექსანდრ ანქვაბის სახელი. მასზე ნათქვამი, რომ ანქვაბისტი მესამე სექტორი ესწრაფვის აფხაზეთის მრავალპოლუსიან საგარეო კურსს და ამ კონტექსტში ნახსენები იყო ჰუმანიტარული ურთიერთობების განვითარება საქართველოსთანაც.

— იქ არის ერთი საინტერესო ნიუანსი და ეს სწორედ გარემოცვას შეეხება. საქმე ისაა, რომ როდესაც ამ პოლიტიკოსების სია დგებოდა, მასში ალექსანდრ ანქვაბის წინადადებით ერთი პოლიტიკოსის გვარიც მოხვდა. აქ ის მომენტია, რომ, როდესაც ანქვაბი გადააყენეს თანამდებობიდან, ეს პოლიტიკოსი აშკარად თანამშრომლობდა ვლადისლავ სურკოვის წარმომადგენლებთან. და ამის შემდეგ, ზემოხსენებული მამონოვი წერს, რომ ისინი იწყებენ მუშაობას აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და მათ უწოდებს „ანქვაბისტებს“. და წერს, რომ ისინი მუშაობენ იმაზე, რომ აფხაზეთმა მიიღოს ფართო საერთაშორისო აღიარება და რომ აფხაზეთი ატარებდეს არა მხოლოდ პრორუსულ საგარეო ვექტორს, არამედ შეეცადოს, ჩაერთოს რომელიმე საერთაშორისო სისტემაშიც.

იხ. 8 გვ.



მფრინავი ტაქსები

ფრანგული აეროკოსმოსური კომპანია Airbus-მა Pahana-ს პროექტის ფარგლებში, პირველი მფრინავი ტაქსის მაკეტი წარმოადგინა.

როგორც ირკვევა, უპილოტო მფრინავ აპარატს გარკვეული წონის ტვირთის გადაზიდვა ან ერთი მგზავრის გადაყვანა შეეძლება. Airbus-ი გეგმავს, რომ 2017 წლის ბოლოდე მფრინავი ტაქსის გამოცდა დაიწყოს, ხოლო პირველი პროდუქტი ბაზარზე 2020 წლიდან გამოიტანოს.

თურქეთმა დასავლეთს უგანა

დასავლეთს თურქეთისთვის კარგი არაფერი გაუკეთებია. ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა სტამბოლის სამედიცინო უნივერსიტეტში გამოსვლისას განაცხადა.

„რას შეიძლება ველოდოთ დასავლეთისგან, როდესაც თურქეთი 53 წელია, ევროკავშირის კართან დგას. ჩვენს პრობლემებს ჩვენვე მოვაგვარებთ და არ გვაინტერესებს, რას იტყვიან სხვები,“ — აღნიშნა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა.

ნატო საკუთარ ძალებს აძლიერებს



რუსეთთან დაძაბული ურთიერთობის ფონზე ნატო ასობით ათას სამხედრო მოსამსახურეს გაძლიერებულ მზადყოფნაში მოიყვანს. ამის შესახებ ალიანსის გენერალურმა მდივანმა განაცხადა. **იენს სტოლტენბერგის თქმით, ალიანსის ძალები რუსეთიდან მოსალოდნელი აგრესიისთვის მზად უნდა იყვნენ. გამოცემა „ტაიმსის“ ინფორმაციით, საუბარია 300 ათას სამხედრო მოსამსახურეზე, რომლებიც სწრაფი რეაგირების რეჟიმზე დაახლოებით ორ თვეში გადავლენ.**

ნიკარაგუაში არჩევნების შედეგებს ითვლიან

ნიკარაგუაში საყოველთაო არჩევნები დასრულდა. საარჩევნო უბნები ადგილობრივი დროით 16 საათზე დაიხურა. საყოველთაო არჩევნებზე ნიკარაგუას მოსახლეობა პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტებსა და ეროვნულ ასამბლეას ირჩევს. **წელს არჩევნებში მონაწილეობას 6 საპრეზიდენტო კანდიდატი, მათ შორის, მოქმედი პრეზიდენტი დანიელ ორტეგაც იღებდა.**

გამოძიება მიმდინარეობს აქტიურად, ტემპი არ დაგვიგდია...

შს მინისტრი დეპუტატ გივი თარგამაძის ავტომანქანის აფეთქების საქმეზე საუბრობს და ამბობს, რომ გამოძიება აქტიურად მიმდინარეობს – **„გამოძიება მიმდინარეობს აქტიურად, ტემპი არ დაგვიგდია. თუ რამე სიახლე იქნება, აუცილებლად გაგაგებინებთ“,** – განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გივი თარგამაძის მანქანის აფეთქების საქმეზე შსს-მ ერთი პირი დააკავა, ერთს კი დაუსწრებლად ბრალი წარუდგინა. დაკავებულია 1976 წელს დაბადებული ბორის ჩაგუნავა, რომელსაც უწყების ინფორმაციით, ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით, რაც იარაღის, საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს, ხოლო მეორე ბრალდებულს, დავით ხეჩუაშვილს ბრალი დაუსწრებლად, სს კოდექსის 19/109 მუხლით წარედგინა, რაც დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

რატომ დაიფრინეს ხარაგაულის საკრებულოს „რესპუბლიკელი“ თავმჯდომარე?

ხარაგაულის საკრებულოს „რესპუბლიკელი“ თავმჯდომარე ინგა მაღრაძე თანამდებობიდან გადააყენეს. მაღრაძეს უფლებამოსილება საკრებულოს 22 წევრის მოთხოვნით შეუწყდა. სხდომას 35 -დან 31 წევრი ესწრებოდა. აქედან კენჭისყრის შედეგების მიხედვით გაბათილდა 2 ბიულეტენი, საბოოლოდ კი საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენების საკითხს მხარი საკრებულოს 22-მა წევრმა დაუჭირა.

საკრებულოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის მოთხოვნით ხარაგაულში საკრებულოს სხდომა 1 აგვისტოსაც ჩატარდა, თუმცა მაშინ ინგა მაღრაძის გადაყენებისათვის საჭირო 18 ხმა ვერ შეგროვდა.

ინციდენტი ბათუმში

ბათუმში, რესტორან „ვოქსის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს. არაოფიციალური ინფორმაციით, მამაკაცს ფეხებში ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე ესროლეს. დაჭრილი ქალაქის ერთ-ერთ კლინიკაში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფის მისვლამდე, ტაქსით გადაიყვანეს. შსს-ს ინფორმაციით, მისი მდგომარეობა სტაბილურია.საქმეზე გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით უკვე დაიწყო.

ისლამისტებმა მოსულში ჭაბურღილები დაწვეს



„ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა მოსულთან მდებარე 19 ნავთობჭაბურღილს ცეცხლი წაუკიდეს. ამის გამო ქალაქის მცხოვრებლებს სუნთქვის პრობლემა შეექმნათ.

ერაყის სიდიდით მეორე ქალაქის გასათავისუფლებლად მასშტაბური სამხედრო ოპერაცია 17 ოქტომბერს დაიწყო. მასში ერაყის სახელისუფლო ძალები, ქურთული შეიარაღებული დაჯგუფებები და საერთაშორისო კოალიციის ავიაციაა ჩართული.

პატიმრების ბუნტი ბრიტანეთში

ქალაქ ბედფორდის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 200-მდე პატიმარმა მასობრივი არეულობები მოაწყო. ციხის ადმინისტრაციამ ადგილზე პოლიციის სპეცდანაყოფი გამოიძახა. ოპერაცია 6 საათს გაგრძელდა. **საბოლოოდ სამართალდამცავებმა ვითარების კონტროლქვეშ აყვანა შეძლეს. ინფორმაცია დაღუპულთა და დაშავებულთა შესახებ არ გავრცელებულა.**

სტიქია იტალიას არ ინდობს

იტალიას ძლიერმა ქარიშხალმა გადაუარა. სტიქიას ორი ადამიანი ემსხვერპლა, ათობით კი დაშავდა. დაღუპულთა შორის ინდოეთის მოქალაქეცაა. **სტიქიამ ათობით საცხოვრებელი სახლი და ავტომანქანა დაზიანა. დროებით შეფერხდა სარკინიგზო მიმოსვლაც.**

ჰაკერების გამჟღავნებული სიმართლე

(მემვიდე გვერდიდან) და კიდევ, ეს არც არის დიდი საიდუმლო, რომ, სინამდვილეში, აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციების ბევრი წარმომადგენელი საუბრობს იმის თაობაზე, რომ კონფლიქტი საქართველოსთან მოგვარებული არ არის და მისი მოგვარება მხოლოდ საქართველოსთან გარკვეული დიალოგი შეიძლება, უამისოდ კონფლიქტი არ მოგვარდება.

– საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოებასთან ჰუმანიტარული ურთიერთობების დალაგებას ცდილობენ, ასე წერია სურკოვის ერთ-ერთი წარმომადგენლის წერილში.

– დიახ, ისინი ემხრობიან ჟენევის დისკუსიის გაგრძელებას და იმას, რომ საზოგადოების წარმომადგენლებს შორის იყოს დიალოგი. დიახ, არის ასეთი პოზიცია და ეს ორგანიზაციები ზემოხსენებულ მიმოწერაში წარმოდგენილი არიან, როგორც მტრები რუსეთის იმ პოლიტიკისა, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწის, ვლადისლავ სურკოვის ხალხი აწარმოებს.

– და როგორი იყო აფხაზეთის მედიის, საზოგადოების, იმავე „აინარის“ რეაგირება ამ წერილებზე?

– თითქმის არანაირი. პრაქტიკულად, არ ყოფილა არავითარი განცხადება. ერთადერთი, პარტია „აინარის“ ლიდერმა თენგიზ ჯოპუამ დაწერა ფეისბუქის პოსტი, რომელშიც იგი ამბობს, რომ ხედავს, თუ როგორ ყიდის ყველა პოლიტიკური ძალა აფხაზეთის ინტერესებს და ჰპირდებიან იმას, რისი შესრულებაც არ შეუძლიათ.

– რაც შეეხება ხაჯიმბა-ანქვაბის დაპირისპირებას, მის გადაწყვეტაში თუ ღებულობდა მონაწილეობას სურკოვი?

– ყოველ შემთხვევაში, ამ მიმოწერიდან ეს არ ჩანს.

– მაგრამ ის, რომ ამ მწვავე დაპირისპირების დროს სურკოვი ჩავიდა სოხუმში და დახურულ კარს მიღმა აწარმოებდა მოლაპარაკებებს იმდროინდელ პრეზიდენტსა და მის მეტოქესთან?

– ყოველ შემთხვევაში ეს ამ მიმოწერაში არ იკითხება. სხვათა შორის, ეს არის კიდეც მიზეზი, რაც მე მაფიქრებინებს, რომ წერილების რაღაც ნაწილი, ალბათ, განადგურდა. შესაძლოა, ჩვენ არასრულ არქივთან გვქონდეს საქმე.

– სხვათა შორის, მე ცოტა უცნაურად მომეჩვენა ზემოხსენებული ჰაკერული ჯგუფის „კიბერხუნტის“ განმარტება, რომ ცალკეული წერილები სურკოვის კანცელარიის ელექტრონული ფოსტიდან არ გამოქვეყნდა ოპერატიული მოსაზრებებით. ასეთი პოლიტკორექტულობა რითი აიხსნება?

– არა ეს პოლიტკორექტულობა არ არის. „კიბერხუნტა“ ეს არის უკრაინული ჰაკერების ჯგუფი და მათ მხედველობაში ჰქონდათ ის, რომ უკრაინას შეუძლია ეს ინფორმაცია გამოიყენოს თავის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებისათვის. ამიტომ, მათ ამოიღეს გარკვეული დოკუმენტები. ეს, პრინციპში, არის მიღებული პრაქტიკა. და ეს იმაზე მიუთითებს, რომ უკრაინის უშიშროების სამსახურსა და ამ ჰაკერებს ან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ, ან ისინი ამ უშიშროების სამსახურების სტრუქტურას წარმოადგენენ.

– ამ „კიბერხუნტის“ მიერ მოპოვებული მიმოწერიდან ირკვევა, რომ ვლადისლავ სურკოვის აპარატის თანამშრომლები ყურადღებით ეცნობოდნენ და გულდასმით აანალიზებდნენ მედიაში აფხაზეთის შიდა პოლიტიკაზე გამოქვეყნებულ ინფორმაციებს და განსაკუთრებით აქტიურად რადიო „ეხო კავკაზას“ ეცნობოდნენ. თანაც, „ეხო კავკაზა“ კრემლისათვის გაიგივებულია „ვაშინგტონთან“ .

– კი, იქ ძალიან სასაცილო ფორმულირებაა „ეხო კავკაზა“ – „ვაშინგტონი“. დიახ, ისინი კითხულობენ, თვალს ადევნებენ ყველა ინფორმაციას. გულწრფელად უნდა ითქვას, რომ მე გაკვირვებული კი ვარ, თუ რა მოცულობის მუშაობას ატარებენ სურკოვის აპარატის თანამშრომლები. ვერც კი წარმომიდგენია, რომ ვინმე ყოველდღიურ რეჟიმში აანალიზებდეს ამ ყველაფერს, ამა თუ იმ თემაზე დაწერილ თითოეულ სტატიას. მაგრამ ასეთი მუშაობა მიმდინარეობს, და იგი არა მხოლოდ 2013-2014 წლებში ტარდებოდა, არამედ ეს დღესაც გრძელდება. და, სხვათა შორის, „კიბერხუნტა“ დაგვპირდა, რომ ინტერნეტში განათავსებს 2015-2016 წლების მიმოწერასაც. და ეს კიდევ ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომ არიან აფხაზი პოლიტიკოსები სრულ შოკში. ისინი კულუარებში პირდაპირ საუბრობენ, რომ აქამდე გამოქვეყნებული წერილები, ამასთან შედარებით, შეიძლება ბავშვის ტიტინად გამოჩნდეს. იმდენად შეშინებულები არიან.

– როგორც იტყვიან, ეს ჟურნალია და კინო ამის შემდეგ დაიწყება, ანუ გაგრძელება იქნება?

– მოსალოდნელია გაგრძელება და ამ ყველაფერმა, შეიძლება, მართლა ააფეთქოს ვითარება. რადგან ძალიან სერიოზული იყო ზეწოლა, რომელსაც რუსეთი აფხაზეთზე ახორციელებდა 2014 წლიდან, საკუთარი ინტერესების გასატარებლად. და არის კიდევ ერთი მომენტი. ნახევარი წლის წინათ ან შეიძლება, ცოტა ადრე, კრემლში თანამდებობიდან გაათავისუფლეს ორი პირი, რომლებიც ვლადისლავ სურკოვის აპარატში აფხაზეთის საკითხებზე მუშაობდა.

– იცი, მე აფხაზეთის საკითხების ცოდნას ვერ დავიტრაბახებ, მაგრამ თუ აფხაზების თავისუფლებისმოყვარეობას გავიხსენებთ, ვვარაუდობ, რომ ფარული პროტესტი უნდა დუღდეს ამ წერილების შინაარსის წაკითხვის შემდეგ, რომლითაც ცხადი ხდება, თუ როგორი ზეწოლის ქვეშაა თვითგამოცხადებული აფხაზეთის ხელისუფლება მოსკოვის მხრიდან – ზოგს აშინებენ, ზოგს კი სასყიდელს სთავაზობენ

– პრინციპში, ეს ყველაფერი უშედეგოდ არ ჩაივლის, ანუ გამოქვეყნებული დოკუმენტები რეალურ გავლენას მოახდენს აფხაზეთის შიდაპოლიტიკურ პროცესებზე. მით უფრო, რომ წინ არის საპარლამენტო არჩევნები, რის გამოც, ჩემი აზრით, ეს თემა ნებისმიერ შემთხვევაში ერთ-ერთი წამყვანი იქნება. რაულ ხაჯიმბას მიერ მოსკოვისათვის მიცემული მრავალი დაპირების მიუხედავად, ბევრი რამის რეალიზება არ მომხდარა. არ ვიცი, სურდა მას ეს თუ არა. მოლაპარაკებების დროს დაპირებით, ბევრ რამეს შეიძლება დაჰპირდე, ეს პოლიტიკაა. მაგრამ ფაქტია, რომ უძრავი ქონების ბაზარი დაკეტილია. არ არის გადაწყვეტილი საზღვრების საკითხი, ანუ აფხაზეთისათვის მტკივნეული საკითხები კვლავ აქტუალურია და სურკოვმა ვერ შეძლო მათი გადაჭრა. ხაჯიმბამ არ შეასრულა ბევრი დაპირება, თუ, რა თქმა უნდა, მან საერთოდ გასცა ასეთი დაპირება. ხოლო მომავალში, თუ ინტერნეტში გავრცელდება, როგორც ზემოთ ვახსენე, ახალი მიმოწერა სურკოვის კანცელარიის წვერებს შორის, ამ დაპირების შესრულებას ხაჯიმბა ვეღარც შეძლებს. თუ სავარაუდო წერილებით გამოჩნდება, რომ რაულ ხაჯიმბა აფხაზეთის ეროვნულ ინტერესებს იცავს, მაშინ ამან, შესაძლოა, გაამყაროს მისი პოზიციები აფხაზეთის შიგნით. მაგრამ თუ იგი წარმოჩნდება ისეთ ადამიანად, რომელსაც სურს, რომ დათმოს ეს ინტერესები, მაგრამ არ შეუძლია ეს, მაშინ ოპოზიცია ამას სათავისოდ გამოიყენებს და საპარლამენტო არჩევნებში ჩვენ, შესაძლოა, ძალთა სულ სხვაგვარი განაწილების მოწმენი გავხდეთ.

კობა ლიკლიკაძე

ევროპის დედაქალაქებს შორის თბილისი ყველაზე დაბინძურებული ქალაქია

სმოგი (Smog) ინგლისური სიტყვაა და შავი ნისლის აღმნიშვნელი ტერმინია, რომელიც მე-20 საუკუნეში დამკვიდრდა სიტყვათა საინტერესო შერწყმით – კვამლი (ინგლ. Smoke) და ნისლი (ინგლ. Fog).

სწორედ ჰაერის ასეთი დაბინძურება ახასიათებდა მჭვარტლითა და გოგირდის ოქსიდით სავსე იმდროინდელ ლონდონს და, ასევე, იმ დიდ ქალაქებს, სადაც ძირითადად სამრეწველო ცენტრები იყო განთავსებული.

დღეს თბილისშიც ე.წ. სმოგური წვიმა მოდის, – აცხადებს საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის წევრი, პროფესორი თეიმურ ვეკუა და ფიქრობს, რომ თბილისში მოსული ფერადი წვიმები, სინამდვილეში, ის გამონაბოლქვია, რასაც ყოველდღიურად ვსუნთქავთ. შესაბამისად, ჩვენ რომ უცხოელებს ჰაერის დაბინძურების ზუსტი მონაცემები ვაჩვენოთ, აქ არავინ ჩამოვა.

– ევროპის დედაქალაქებს შორის თბილისში ყველაზე დაბინძურებული ჰაერია. სწორედ ამიტომ ჰაერის ხარისხის შესამოწმებლად თბილისის ქუჩებში ე.წ. ინდიკატორული კვლევა ჩატარდა, რომლის თანახმადაც, ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობა გამოიკვეთა ტაშკენტის ქუჩაზე, სადაც აზოტის დიოქსიდის მოჭარბებული რაოდენობაა, ასევე, ვაკის პარკის ცენტრალურ შესასვლელთან, სადაც ტრანსპორტი აბინძურებს ტერიტორიას, რუსთაველის გამზირზე, პირველ სკოლასთან, ასევე, ბახტრიონისა და გამსახურდიას ქუჩების კვეთაზე. რამდენად სანდოა ეს მონაცემები?

– პირობითია ეს კვლევა. განა ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი ჭავჭავაძეზე ნაკლებია? ზოგადად, სადაც ე.წ. საცობებია, ყველაზე კატასტროფული მდგომარეობაა. ამიტომ ჰაერის დაბინძურების სრული რუკა უნდა გაკეთდეს და იმის მიხედვით ვიმსჯელოთ. გარდა ამისა, უნდა შევთანხმდეთ, დაბინძურების რამდენ ინგრედიენტს, შემადგენელს ვზომავთ. უნდა ავიღოთ ისეთი ინგრედიენტები, რომლებიც ყველაზე მავნეა ჯანმრთელობისთვის. თორემ ჰაერში გამოყოფილ ზოგიერთ მავნე ნივთიერებას ჩვენ ვერ გავზომავთ, რადგან არ გვაქვს ამის ანალიზატორები. აქ უნდა აიღონ ნიმუშები და წაიღონ უცხოეთში, ეს ფანტაზიის სფეროა. გარდა ამისა, როცა დაბინძურებას ვზომავთ, ჩვენ არ ვითვალისწინებთ ინვერსიას, ჰაერის მოძრაობას ზედა ფენებში. ამის გარეშე სრული სურათი არ გვექნება. ცალკე საკითხია კიდევ ე.წ. გათბობის ინდივიდუალური სისტემები, რომლებიც უამრავი რაოდენობითაა თბილისში. ესენი ე.წ. სმოგურ წვიმას იწვევენ. ჩვენ შეიძლება ვზომავდეთ 50 ინგრედიენტს, ცალ-ცალკე ყველა მათგანი ნორმაში იყოს, მაგრამ ჯამური ეფექტი მაინც სასიკვდილო აღმოჩნდეს.

– გათბობის სისტემებში რას გულისხმობთ?

– ე.წ. კარმას სტილის გამათბობლებს. არსებობს ინდივიდუალური გამათბობლებიც. ამიტომ ასეთი ანალიზი უნდა ჩავატაროთ, ჩვენ უნდა ავიღოთ გაზის ხარჯვის ოდენობა თბილისში, აქედან ზამთრისა და ზაფხულის სეზონი ერთმანეთს შევუდაროთ და მიახლოებით დავადგინოთ, რა ოდენობის გაზი იხარჯება გათბობაზე, როგორია მისი ნამწვის შედეგი. ამით გავიგებთ, რა ნივთიერებებს გამოყოფს გამათბობლები. მანქანების გამონაბოლქვის გარდა, გაზიც გამოყოფს მავნე ნივთიერებებს. ახლა ლაპარაკობენ აზერბაიჯანულ, ქართულ და რუსულ გაზზე და რატომღაც ყველა მარტო პოლიტიკურ შემადგენელს განიხილავს, რომ რუსეთისგან გაზი არ უნდა ვიყიდოთ, თურმე, უნდა ვიყიდოთ მხოლოდ აზერბაიჯანისგან. ამ დროს არავინ ამბობს, რომ რუსეთის გაზი თავისი მაჩვენებლებით გაცილებით ეფექტურია, ვიდრე აზერბაიჯანული. აადუღეთ ჩაიდანი აზერბაიჯანული გაზით და მიხვდებით, რამდენ ხანს მოუნდებით, რამდენ ხანს იწვის ეს გაზი, ამ დროს სამჯერ ნაკლები დრო სჭირდება რუსულ გაზს. ჰაერის სისუფთავისთვის უკეთესია ის გაზი, რომელსაც კარგი წვა აქვს, ანუ რუსული და ყაზახური გაზი, რომელიც სჯობს თავისი შემადგენლობითაც და ეკოლოგიური თვალსაზრისითაც. აზერბაიჯანული გაზი უბედურებაა.

– თბილისში მოსულ ფერად წვიმებს რამდენად განაპირობებს ავტომანქანების გამონაბოლქვი?

– მე ამას სწორედ გამონაბოლქვს ვუკავშირებ. არასაკმარისი იქნება მსჯელობა დაბინძურებაზე, თუკი არ ვილაპარაკებთ გაბინძურებით გამოწვეულ ავადმყოფობაზე და მათ დინამიკაზე, ეს არის ფილტვების და სასუნთქი ორგანოების, ალერგიული, იმუნური და კიდევ სხვა დაავადებები. ალერგიული და იმუნური ავადმყოფობები ძალზე გაზრდილია. კომუნისტების დროს ხუთ ადგილას ატარებდნენ მუდმივ სტაციონარულ გაზომვებს. ერთ-ერთი იყო ფილარმონიის ქვევით, მეორე – გმირთა მოედანზე, ჭავჭავაძეზე და ა.შ. ყველაზე მძიმე სურათი ამ ადგილებში იყო. მთელი სერიოზულობით ვამტკიცებ, რომ ქალაქში ჰაერის დაბინძურება კატასტროფული ხასიათისაა, რომელიც ათი წლის შემდეგ ავადმყოფობის ათმაგ ზრდას გამოიწვევს.

– თქვენ მიიჩნევთ, რომ უცხოელებს თბილისში ჰაერის დაბინძურების ზუსტ მონაცემს თუ ვაჩვენებთ, აქ არავინ ჩამოვა, მაგრამ თქვენეული კვლევით, დაბინძურების მაჩვენებელი ციფრობრივად როგორ გამოიხატება?

– აქ ჩამოდიან მესამეხარისხოვანი ტურისტები, ჩამოდიან მეორეხარისხოვანი ბიზნესმენები. თუ გადახედავთ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ შედგენილ საქართველოს დახასიათებას, თქვენ ნახავთ, რომ ისინი აქ სერიოზულ ტურისტს არ ჩამოიყვანენ. ჩვენთან ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან ჩამოდიან. კანტიკუნტად თუ ჩამოდიან მაღალი დონის ქვეყნებიდან. ვინც წაიკითხავს ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემებს, ცხადია, თავს აარიდებს აქ ჩამოსვლას.

– ამერიკის ცენტრალური სადაზვერვოს მონაცემებში საქართველოს ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებაც წერია?

– ყველაფერი წერია მანდ. მაგალითად, მე დავპატიჟე სტუმრები უცხოეთიდან, მეორე დღეს დამირეკეს და მითხრეს, დიდი ბოდიშიო. ევროპის დედაქალაქებიდან თბილისი 126-ე ადგილზეა დაბინძურების დონით და მეტი რაღა უნდა დაიწეროს?!

– დედაქალაქში ელექტროტრანსპორტის გაუქმებას თქვენ დანაშაულად მიიჩნევთ და მის აღდგენას მოითხოვთ.

– უძვირფასესი დედაქალაქია ჩვენი თბილისი, ჩვენ სხვა დედაქალაქს არავინ მოგვცემს, მაგრამ სხვა ქვეყნებში დიდად პოპულარულია მეტრო, ტრამვაი და ის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ელექტრონზეა. არავითარი დიზელი და ბენზინი. როგორ შეიძლება, დიზელიანი ძველი ავტობუსები დადიოდეს ქალაქში? დიზელს კიდევ სულ სხვა შენაერთები აქვს. შიდა წვის ძრავის გამონაბოლქვი სხვა არის, დიზელი სხვა არის. ვიზალიბერალიზაციის გარეშეც ხალხი დადის უცხოეთში და ხედავს, რა წილი უჭირავს იქ ავტობუსსა და ელექტროტრანსპორტს.

– თბილისში წყლის ხარისხის მდგომარეობას პერიოდულად ზომავენ და გვატყობინებენ, რომ მოსახლეობას მაღალი ხარისხის სასმელი წყალი მიეწოდება. თუმცა გვახსოვს პერიოდი, როცა ონკოლოგიური ნარჩენები ჩაედინებოდა მტკვარში.

– მაღალი ხარისხის სასმელი წყალი თბილისში ბლეფია. ჩვენთან წყალი ქლორირებით იწმინდება, მაგრამ 73 წერტილი დავადგინე, საიდანაც არასანქცირებულად ჩადის მტკვარში დაბინძურებული წყალი. მერე თბილისიდან რომ გადის, სად მიდის ეს კანალიზაცია? ისევ მტკვარში ჩადის. ეს არის უბედურება. დაავადება ამებიოზი რომ იყო ცოტა ხნის წინათ გავრცელებული, სწორედ სასმელი წყლის მიზეზით იყო.

– ე.წ. მჟავური წვიმებიც ახასიათებს თბილისს? საუბარია იმაზე, როცა დედამიწაზე წვიმის სახით ბრუნდება ატმოსფეროში გატყორცნილი ქიმიური ნივთიერებები.

– მჟავური წვიმა უკვე მსოფლიო ტენდენციაა. მჟავური წვიმა იმდენად არ არის ჩვენთვის საშიში, რამდენადაც ე.წ. სმოგური წვიმა. ტერმინი „სმოგური წვიმა“ მე შემომაქვს, ეს გამოწვეულია ჰაერის გაბინძურებით, როცა ავტომანქანების საოცარი დაბინძურება ხდება ამ წვიმების შემდეგ.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

◎ ადამიანი და გზა

ანი გაჭირვებისა ნუ შეგეშინდებათ!

ვინმეს იქნებ უხერხულადაც მოეჩვენოს, ასე ვთქვათ, „საზოგადოებრივი სველი წერტილების“ ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი ტუალეტების თემაზე ლაპარაკი, მაგრამ, სხვასაც თავი რომ დავანებოთ, როცა ქვეყანაში უცხოური ტურიზმი სამამულო ეკონომიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია, აქ სირაქლემასავით თავის ქვიშაში ჩარგვა არაფრით არ ივარგებს.

არადა, ამ თითქოსდა „არანატიფ“ საკითხზე ლაპარაკი არაერთგზის გვქონია, უამრავჯერ გაგვიმეორებია, რომ დედაქალაქში, სადაც თითქმის მილიონ-ნახევარი კაცი ცხოვრობს და ყოველდღიურად აუარება შინაური თუ უცხოელი სტუმარი ჩამოდის, თითზე ჩამოსათვლელი საზოგადოებრივი ტუალეტის ქონა, სხვა თუ არაფერი, ხალხის უპატივისმცემლობაა. ამასთან, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ სველი წერტილების არსებობა, ისევ ინტენსიურად განვითარებადი ტურიზმისა და ბოლო წლებში ლამის გაათმაგებული პირდაპირი თუ სატრანზიტო გადაზიდვების პირობებში, საავტომობილო ტრასების გასწვრივაცაა საჭირო, რასაც, სამწუხაროდ, ასევე ყურადღება ნაკლებად ექცეოდა.

და აი, ახლახან ცნობილი გახდა, რომ საქართველოს სამი ძირითადი სამანქანო გზის გასწვრივ, ყოველი დაახლოებით 50 კილომეტრის დაშორებით (თითქმის ნახევარი საათის სავალზე), მგზავრთავის საგანგებო გასაჩერებელი ადგილები მოეწყობა, სადაც საზოგადოებრივი საპირფარეშოებისა და სხვა ინფრასტრუქტურის განთავსებაა დაგეგმილი.

აღნიშნულთან დაკავშირებით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **გოჩა ჩოგოვაძემ,** კერძოდ, განაცხადა:

– საქართველოში სამი ძირითადი საგზაო არტერიაა, ესენია კერძოდ, თბილისი-კახეთის, თბილისი-

დასავლეთისა და თბილისი-ყაზბეგის მიმართულებები. თითოეული მათგანის გასწვრივ, ყოველი 40 წუთის სავალ გზაზე, გასაჩერებელი ადგილი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა, რომელთა მსგავსი ამჟამად გორთან მოქმედებს. ისინი, შესაძლოა, ასეთი მასშტაბისანი არ იყვნენ, სამაგიეროდ ფუნქციური განსხვავება არ იქნება, მგზავრები ყველა საჭირო სერვისით უზრუნველყოფილნი იქნებიან, – აღნიშნა ბატონმა ჩოგოვაძემ.

მისივე თქმით, ამჟამად ხელისუფლების, კერძოდ, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მთავარი მიზანია ამ პროექტის განხორციელებით კერძო ბიზნესის დაინტერესება, რასაც, წესით და რიგით, კარგი პირი უნდა უჩანდეს. ასეთი ოპტიმისტური ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას კი ის გარემოება ჰქმნის, რომ ამ მიზნისთვის კერძო იურიდიულ პირს მთავრობის კუთვნილი მიწის გარკვეული ზომის ნაკვეთის მიღება შეეძლება, რომელზეც სათანადო ინფრასტრუქტურის გამართვის უფლებას ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მიიღებს.

ამავე დროს, მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ, როგორც ბატონმა ჩოგოვაძემ განაცხადა, თუ კერძო სექტორი ამ შეთავაზებას სათანადოდ არ შეხვდება და პროექტის ერთიანად განხორციელებას საფრთხე შეექმნება, ინტენსიური საგზაო მოძრაობის აღნიშნული ტრასების გასწვრივ სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობაზე სახელმწიფო იზრუნებს.

მეტად სასიკეთოა ისიც, რომ ასეთი სველი წერტილების მოწყობა როგორც იქნა თბილისშიცაა გადაწყვეტილი, თუმცა, კი, როგორც ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში აცხადებენ, ეს, უწინარესად, დედაქალაქის კულტურული და ტურისტული თვალსაზრისით ყველაზე მომხიბლავ ადგილებში მოხდება, მათ შორის დასახელებულია ძველი თფილისის, ევროპის ხიდის, მეიდნის მიმდებარე ტერიტორიები.

ბატონმა ჩოგოვაძემ იმასაც გაუსვა ხაზი, რომ საზოგადოებრივი საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესი აჭარაშიც ხორციელდება, სადაც ინტენსიური სამანქანო მოძრაობის გზების გასწვრივ რვა გასაჩერებელი ადგილი მოეწყობა.

ოთარ ტურაბელიძე

◎ არჩევნების წინ

ღირსეული კანდიდატი

რობორტ შევიტყვეთ, მიმდინარე წლის 23 დეკემბერს დაგეგმილ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპრეზიდენტო არჩევნებზე ერთ-ერთი კანდიდატი 54 წლის ირაკლი მეძმარიაშვილი იქნება.

სეოკ-ის წესდების თანახმად, ორგანიზაციის პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელიწადი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში. სეოკ-ის პრეზიდენტის არჩევა ხდება ოთხი წლის ვადით და შესაძლებელია არჩეულ იქნას ხელმეორედ.

შეგახსენებთ, რომ მეძმარიაშვილი ქართული სპორტისთვის უცხო კაცი ნამდვილად არაა. ჯერ კიდევ 2002-2004 წლებში ის საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე გახლდათ, 2004-2008 წლებში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი იყო, ხოლო 2006-2009 წლებში — ეროვნული სტადიონის გენერალური დირექტორი. ამას გარდა, მეძმარიაშვილი ფიფას საფეხბურთო აგენტია 2005 წლიდან, 2012-დან კი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელია ევროპის ქვეყნებში.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი 1989 წლის 6 ოქტომბერს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გამართულ დამფუძნებელ კონფერენციაზე დაარსდა, რომელსაც 337 დელეგატი ესწრებოდა.

სეოკ-ის პირველ პრეზიდენტად მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი აირჩიეს, ვიცე-პრეზიდენტებად კი — ვიქტორ სანეევი, თენგიზ გაჩეჩილაძე და პაატა ნაცვლიშვილი, გენერალურ მდივნად — დავით კინწურაშვილი.

სეოკ-ს აქვს განსაკუთრებული უფლება საქართველო წარადგინოს ოლიმპიურ თამაშებზე და სოკ-ის სხვა შეჯიბრებებზე. იგი ადგენს და ხელმძღვანელობს საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციებს, მონაწილეობს ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამებში.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით და მოწოდებულია ხელი შეუწყოს ოლიმპიური მოძრაობისა და სპორტის განვითარებას ქვეყანაში.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ხელბურთი

შესარჩევისკენ გზა გაირთულეს

ხელბურთელ ვაჟთა ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, რომელიც ფინალური ეტაპის 20 საგზურს იძლევა (სულ დასკვნით რაუნდში 24 გუნდი ითამაშებს), 2019 წლის ზაფხულში გაიმართება. იქ მოსახვედრად საკმარისი იყო საქართველოს ნაკრებს მე-3 საკვალიფიკაციო ჯგუფში პირველი ადგილი დაეკავებინა, მაგრამ ჩვენმა ხელბურთელებმა დასახული ამოცანის შესრულება, სავარაუდოდ, ვერ შეძლეს — იტალიასთან ორივე მატჩი დათმეს (სირაკუზაში - 19:26, თბილისში — 25:28) და შესარჩევ ეტაპზე მოსახვედრად გზა მეტისმეტად გაირთულეს.

ევრო 2020-ის
I საკვალიფიკაციო ეტაპი.
6 ნოემბერი, თბილისის
სპორტის სასახლე.

საქართველო-იტალია 25:28 (13:13).

განმეორებით მატჩში საქართველოს ნაკრებს დაემატნენ სერგო დათუკაშვილი და რატი მსხვილიძე, რაც მასპინძლებს ოპტიმისტურად განაწყობდა, მაგრამ იმედები არ გამართლდა. შეხვედრა სტუმართა იერიშებით დაიწყო და უკვე მე-3 წუთისთვის ისინი ტურკოვიჩისა და ჯანოკაროს გოლებით 2:0 დაწინაურდნენ. მე-4 წუთზე ირაკლი ჩიქოვანმა ერთი ბურთი გაქვითა, რასაც იტალიელთა ორი გოლი მოჰყვა — 1:4. 21-ე წუთზე მასპინძელთა მეკარე თევზაძემ ზედიზედ ორჯერ იხსნა თანაგუნდელები გოლისგან, ჩიქოვანისა და მსხვილიძის ზუსტი დარტყმების შემდეგ კი წონასწორობა აღდგა — 9:9. მერე მეტოქეებმა კიდევ 4-4 გოლი გაიტანეს და პირველი ტაიმიც ფრედ — 13:13 დასრულდა.

შესვენების შემდეგ მე-20 წუთამდე მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა: მასპინძელთაგან ჩიქოვანი (მან 11 ბურთი გაიტანა) და მსხვილიძე გამოირჩეოდნენ, ხოლო სტუმართა გუნდში სამაგალითონი ნატურალიზებული ხელბურთელები — ტურკოვიჩი და რადოვჩიჩი იყვნენ, რომლებმაც ჯამში თევზაძეს კარის ბადიდან 13-ჯერ გამოატანინეს ბურთი. სწორედ მათი წყალობით სტუმრები ოთხ წუთში სამი ბურთით გავიდნენ წინ და ეს სხვაობა საფინალო სასტვენამდე შეინარჩუნეს. დაღლილმა მასპინძლებმა მატჩის ბედის შემობრუნება ვერ შეძლეს — აპენინელებმა 28:25 გაიმარჯვეს. მარცხის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებს შესარჩევ რაუნდში მოხვედრის შანსი არ დაუკარგავს — 2017 წლის ივნისში ჩელენჯ-ტროფი გაიმართება, სადაც შესარჩევის ერთადერთი საგზურისთვის იბრძოლებენ აზერბაიჯანი, ბრიტანეთი, მალტა, ალბანეთი, ბულგარეთი, მოლდოვა, ანდორა, ირლანდია, სომხეთი და საკვალიფიკაციო რაუნდის 6 გუნდი, რომელთა შორის საქართველოც იქნება.

ჩვენს ჯგუფში კიდევ ოთხი მატჩია დარჩენილი, რომლებიც გაისად იანვარში ჩატარდება: ***4 იანვარი.*** *საქართველო — ლუქსემბურგი,* ***7 იანვარი.*** *ლუქსემბურგი — საქართველო;* ***11 იანვარი.*** *ლუქსემბურგი — იტალია,* ***14 ან 15 იანვარი.*** *იტალია — ლუქსემბურგი.*

ლაშა დიდია

უტევს ირაკლი ჩიქოვანი

მინაწერი: იმ დღეს ქართულ ხელბურთს 60 წელი შეუსრულდა. კარგი იქნებოდა, საიუბილეო თარიღი შესაბამისი შედეგით აღგვენიშნა, მაგრამ...

ლ. დ.

◎ ძალისმიერი სამჭიდი

ევროპის ჩემპიონობა შეინარჩუნა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი ელგუჯა კობერიძე ექვსი წელიწადია ძალისმიერ სამჭიდში ვარჯიშობს. 2014-2015 წლებში ზედიზედ ორჯერ შავი ზღვის აუზის ქვეყნების თასი მოიგო 100 კილოგრამ წონით

ელგუჯა კობერიძე

კატეგორიაში, ხოლო შარშან ამავე წონაში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი გახდა. ბოლო შეჯიბრებაზე მან მკერდის კუნთი გაიწყვიტა და რამდენიმე თვეა მკურნალობს. ჯერ კიდევ ტრავმამოუშუშებელმა ამას წინათ უკრაინულ ლუცკში პროფესიონალ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე, რომელშიც 12 ქვეყნის 272 სპორტსმენი მონაწილეობდა, ძალისმიერი სამჭიდის ერთ-ერთ სახეობა ამოწევაში მაინც იასპარეზა და 282,5 კილოგრამით კონტინენტის ჩემპიონობა შეინარჩუნა - მეორე-მესამე ადგილებზე გასულ უკრაინელ და პოლონელ ათლეტებს 10-10 კილოთი გაუწრო, თანაც საქართველოს თავისივე რეკორდი 12,5 კილოგრამით გააუმჯობესა.

გივი გაგუა

◎ ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

იტალია. „კიევო“ — „იუვენტუსი“ 1:2, „რომა“ — „ბოლონია“ 3:0, „პალერმო“ — „მილანი“ 1:2.

ესპანეთი. „რეალი“ — „ლეგანესი“ 3:0, „სევილია“ — „ბარსელონა“ 1;2, „სოსიედადი“ — „ატლეტიკო“ 2:0.

ინგლისი. „ლივერპული“ — „უოტფორდი“ 6:1, „სიტი“ — „მიდლსბრო“ 1:1, „სუონსი“ — „მანჩესტერი“ 1:3, „არსენალი“ — „ტოტენჰემი“ 1:1.

გერმანია. „ბაიერნი“ — „ჰოფენჰაიმი“ 1:1, „ლაიფციგი“ — „ვერდერი“ 3:1, „ჰერტა“ — „გლადბახი“ 3:0.

საფრანგეთი. „პარი სენ-ჟერმენი“ — „რენი“ 4:0, „მონაკო“ — „ნანსი“ 6:0.

ჰოლანდია. „იგლზი“ — „ფეიენოორდი“ 1:0, „ალკმაარი“ — „აიაქსი“ 2:2.

პორტუგალია. „პორტუ“ — „ბენფიკა“ 1:1, „მარიტიმუ“ — „ბრაგა“ 1:0.

რუსეთი. „ურალი“ — „სპარტაკი“ 0:1, „ტერეკი“ — „ზენიტი“ 2:1.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

საყვარელმრავალი პაოლა სადი

ბრაზილიური **საფეხბურთო კლუბის, „სან პაულუს“ თილისმად სახელდებული ტანკენარი და კაცის ხიბლში ჩამგდები ასული ანა პაოლა სადი მუდამ ახალ-ახალი სიგიჟეებითა და ორიგინალური ქცევით აკვირვებს ყველას და მისგან დალაგებული ქცევა ბევრად უფრო გასაკვირი იქნებოდა.**

ჯერ იყო და ამ ქალმა იმდენი იძალავა, რომ მაინც მოახერხა ლეგენდარული თანამემამულე ფეხბურთელის რიკარდო კაკას საწოლში შეტყუება და მთელი სამი თვის განმავლობაში საძინებლიდან კაკას ცხვირი არ გამოაყოფინა, მერე კი უკვე „სან პაულუს“ ფეხბურეთელებზე გადავიდა და იყო ერთი გმინვა და ოხვრა-კვნესა.

ამ ყველაფერს თან ახლავს ისიც, რომ პაოლა სადი ჟურნალისტებთან არაფერს მალავს და საკმარისია სატრფო გამოიცვალოს, რომ ამ სიახლეს მსწრაფლივ მედიასთან ამბობს ხოლმე. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ ანასთან დიდი ხანი ვერავინ ძლებს და მუდმივად საყვარელმრავლობაა. მოდი და აიტანე ასეთი ქალი...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ჩოგბურთი

ბრიტანეთის სახელით

შოტლანდიელი ენდი მარეი 26-ეა, ვინც პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგს ჩაუდგა სათავეში. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც სერბინოვაკ ჯოკოვიჩი პარიზის მასტერზს ხორვატ მარინ ჩილიჩთან მეოთხედფინალში განცდილი სენსაციური მარცხის გამო გამოეთიშა, ხოლო ბრიტანელმა ფინალში ამერიკელი ჯონ ისნერი 6:4, 6:7, 6:3 დაჯაბნა. არადა, რამდენიმე თვის წინათ მოვლენათა ასეთ განვითარებას ძნელად თუ ივარაუდებდა ვინმე.

შეგახსენებთ, რომ სეზონის პირველი ნახევარი ბალკანელმა ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა, ავსტრალიისა და როლან გაროსის გრანდ სლემები მოიგო და უახლოეს მდევართან უპირატესობა 8000(!) ქულამდე გაზარდა.

სწორედ ამის შემდეგ აბობოქრდა კლასიფიკაციის ახალი ლიდერი, რომელმაც მთელ რიგ პრესტიჟულ ტურნირებში გამარჯვებას ოლიმპიური „ოქრო“ და კარიერაში მეორედ მოგებული უიმბლდონი დაუმატა. ასე რომ, გაუმარჯოს მორიგ გვირგვინოსანს!

კოგა კოგახიძე

ქართული ღვინის ექსპორტი 37%-ით გაიზარდა

2016 წლის იანვარ-ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოდან მსოფლიოს 50 ქვეყანაში ექსპორტირებულია 38 392 510 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 37%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 88,3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 14%-ით მეტია გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია როგორც ევროკავშირის ქვეყნების, ისე ჩინეთის და სხვა ტრადიციული ბაზრების მიმართულებით:

ჩინეთში – 138% (4 307 825 ბოთლი), უკრაინა – 64% (4 212 110), ბელარუსი – 57% (931 602), დიდი ბრიტანეთი – 47% (74 188), პოლონეთი – 44% (1 819 542), რუსეთი – 40% (20 531 892), ესტონეთი – 33% (516 048), ყირგიზეთი – 17% (202 666), იაპონია – 12% (141 774), აშშ – 12% (234 616), გერმანია – 11% (234 422), კანადა 7% (157 860), ლატვია 6% (978 762) და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი (20 531 892), ჩინეთი (4 307 825), უკრაინა (4 212 110) , ყაზახეთი (3 019 147) და პოლონეთი (1 819 542).

ამასთან, გასულ 10 თვეში, მსოფლიოს 16 ქვეყანაში ექსპორტირებულია 7 129 158 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 31%-ით აღემატება 2015 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 16,3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 15%-ით მეტია.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 148,3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. გასული წლის 10 თვის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 115,7 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა – ზრდამ 28,2% შეადგინა.

ეპიტაფია

დავით სარიშვილი

ქართველმა საზოგადოებამ, აგრარულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა ჩვენი თანამემამულე, ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით სარიშვილი.

დაიბადა 1927 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში. 1949 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი და აქტიურად ჩაერთო შრომით საქმიანობაში. 1958 წლამდე მუშაობდა ველისციხის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში (მტს-ში) სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირად, უბნის მექანიკოსად, სახელოსნოს გამგედ, მთავარ ინჟინრად, 25 წლის ასაკში ნიშნავენ მტს-ის დირექტორად.

1958 წლიდან ბატონი დავითი გურჯაანის რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსი – რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა, ხოლო 1961 წლიდან – გურჯაანის რაიონული გაერთიანება „სოფლტექნიკის“ პირველი მმართველი; 1962-63 წლებში – გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონების სოფლის მეურნეობის ტერიტორიულ-საწარმოო სამმართველოს უფროსი; 1963-64 წლებში – რესპუბლიკის პარტიული კონტროლის კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე; 1965-70 წლებში – რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 1970-72 წლებში – რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებოსტნეობა-მერძევეობის ტრესტის მმართველი. 1973 წელს ბატონი დავითი ინიშნება საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ზონალური მანქანათა საგამოცდო სადგურის ხელმძღვანელად. 1973 წლიდან, 11 წლის განმავლობაში, სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარეა, საქართველოს მთავრობის წევრი. ამ პერიოდში მისი უშუალო მონაწილეობით რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში აშენდა სარემონტო ქარხნები, სახელოსნოები, ტექნიკური მომსახურების სადგურები, მეცხოველეობის საკვები საამქროები, საცხოვრებელი სახლები მუშა-მოსამსახურეთათვის და სხვ.

1983 წლიდან ბატონ დავითს ნიშნავენ „აგრომრეწვის“ კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრად.

1984 წელს არჩეულ იქნა გურჯაანის რაიონკომის პირველ მდივნად. მისმა მაღალმა პროფესიონალურმა და თავდადებულმა შრომამ ბევრი სიკეთე მოუტანა რაიონის მშრომელებს. ამ დროს აშენდა და რეაბილიტაცია გაუკეთდა კულტურის, განათლების, მედიცინის, სპორტის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის, კომუნალური მომსახურების, მშენებლობის და სხვა 300-მდე ობიექტს. მათგან აღსანიშნავია:

გურჯაანის კულტურის ცენტრი „გურჯაანი“ და რკინიგზელთა კულტურის სახლი, ველისციხის თეატრი, ივ. ბერიტაშვილის სახლ-მუზეუმი ვეჯინში, ი. ნონეშვილის სახლ-მუზეუმი კარდენახში, ნ. ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის მე-2 რიგი, რიტუალებისა და წიგნის სახლები გურჯაანში, გურჯაანში ქალაქის საბჭოსა და ბანკის შენობა, რაიონის ფოსტა-ტელეგრაფი და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, კულტურის სახლები არაშენდაში, ნანიანში, სოფ. გურჯაანში, ვაზისუბანსა და ბაკურციხეში, საჭიდაო დარბაზი და მეღვინის სახლი ველისციხეში, ჰიგიენის სახლები ძირკოკსა და შაშიანში, უნივერმაღის შენობა ჩუმლაყსა და ვაზისუბანში, ქ. გურჯაანში მუშა-მოსამსახურეთათვის საცხოვრებელი სახლები, კულტურისა და დასვენების პარკები გურჯაანში, კაჭრეთსა და ველისციხეში, სკოლები სოფ. გურჯაანში და არაშენდაში, საბავშვო ბაღები არაშენდასა და გურჯაანში, კინოთეატრი ველისციხეში, სანატორიუმი „ახტალა“, პანსიონატი „ვეჯინი“, გურჯაანის ცენტრალური სტადიონი და სპორტული კომპლექსი, ჩოგბურთის კორტები, მეცნიერული მიღწევების დანერგვის რაიონული ცენტრის შენობა, რაიონული საავადმყოფო, ვაჩნაძიანის ეკლესია, გურჯაანისა და ზეგნის ყველაწმინდა, ქოდალოში მეცხოველეობის კომპლექსი, სათბურები ვაზისუბანსა და ველისციხეში, ჭერმის ხევზე გზა და დაცვითი ნაგებობანი 8 კმ სიგრძეზე, გურჯაანი-ზიარის გზა და მის გასწვრივ 106 ჰა მუხის ფოთლოვანი ტყე-პარკი. მის მიერ შექმნილი ჰიდრობურღით 5 წლის განმავლობაში გაშენდა 2500 ჰა ვენახი, გაყვანილ იქნა წყალი ჩუმლაყსა და შაშიანში, მოხდა ჩალაუბნისა და კალაურის გაზიფიკაცია.

სიცოცხლის ბოლო წლებში ბატონი დავითი იყო საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჯერ პრეზიდენტის მოადგილე, ხოლო შემდეგ ვიცე- პრეზიდენტი. იგი, როგორც აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აქტიურად მონაწილეობდა აგრარული მეურნეობის კომპლექსური განვითარების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების დამუშავებასა და განხორციელებაში.

ბატონი დავითი რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომისა და სახელმძღვანელოს ავტორია. ბატონი დავითის შრომითი საქმიანიბა ღირსეულად შეფასდა. მას მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორის წოდება და საქართველოს სახელმწიფი პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. დაჯილდოებული იყო ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშისა და ღირსების ორდენებით. მედლებით „შრომითი მამაცობისთვის“ და სხვა.

ბატონი დავითი 1974-83 წლებში როგორც საქართველოს ძიუდოს ფედერაციის თავმჯდომარე აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის სპორტის განვითარებაში. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით თბილისში, ფიზკულტურის ინსტიტუტის ტერიტორიაზე აშენდა ძიუდოს დარბაზი. 2003 წელს საქართველოს მექანიზატორებმა შექმნეს „საქართველოს მექანიზატორთა კავშირი“, რომლის პირველ პრეზიდენტადაც არჩეულ იქნა ბატონი დავითი.

იგი არჩეული იყო რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატად, 10 წელზე მეტხანს იყო მთავრობის წევრი.

ბატონი დავითი თავისი პირადი თვისებებით, პატიოსნებით, ქვეყნის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობით, სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტაში ახლებური მიდგომებით, პრინციპულობით, ადამიანებზე ზრუნვის მომადლებული ნიჭით საზოგადოების მხრივ მუდამ პატივისცემით სარგებლობდა. იგი, როგორც მამულიშვილი, ერთგულად ემსახურა ქვეყანას. საზოგადოება ასეთ ადამიანებს არ ივიწყებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2016 წლის 29 დეკემბერს 12 საათზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №7) გაიმართება შპს „ლეჟუბანი 2014“-ის მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი მცირე საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი მცირე საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში - ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №7;
- შპს „ლეჟუბანი 2014“-ის ოფისში - ქ. ჭიათურა, საჩხერის გზატკეცილის №6;
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში - ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17°.

ტელ: 2 60 15 27. E-mail:j.akvlediani@gamma.ge

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

შპს „ლეჟუბანი 2014“-ის ადმინისტრაცია

შ ე ს წ ო რ ე ბ ა

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2016 წლის 26 ოქტომბრის 199 ნომერში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში (სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს მიერ ეგხ „კოხრა1-2“-ის რეკონსტრუქციის პროექტის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა) ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ:

აბზაცში – „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე“:

ნაცვლად „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №189“, უნდა იყოს: „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11“.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

სანთელი

მეუღლე ბელა სარიშვილი, შვილები ელგუჯა, თენგიზ სარიშვილები, რძლები ირინა გორგიშელი, მარინე როსტიაშვილი, შვილიშვილები ქეთევან, დავით, თამარ, ლევან სარიშვილები, შვილთაშვილები დათა გოლოძე, თიკა კილურაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ეფრემის ძე სარიშვილი

გამოსვენება: 8 XI, 14 სთ.

მისამართი: ცინცაძის ქ.10 (ყოფილი საბურთალოს ქ. 30ა), მე-2 სადარბ. მე-3 სართ.ბ.22

გალის მე-3 საშუალო სკოლის 1969 წლის მე-10 ბ კლასის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი თანაკლასელი

ქეთევან ვლადიმერის ასული რურუა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გილოცავთ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, ვალერი ვარდოსანიძე დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების წევრს, ჩვენი ქვეყნის პარტიულ და სამეურნეო გამოჩენილ ყოფილ ხელმძღვანელ მუშაკს, წყალთა მეურნეობის დარგის მაღალი დონის სპეციალისტსა და მის დიდ მოამაგეს, „სილქროუდ გრუპის“ თბილისის წარმომადგენლობის თავკაცს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ძმობისა და მეგობრობის უბადლო ნიმუშსა და უშესანიშნავეს პიროვნებას, ბატონ

გია რამიშვილს.

მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ცათამბჯენი

კომპანია Emporis-მა 2015 წლის კონკურსის Skyscraper Awards-ის შედეგები გამოაქვეყნა. ნომინაციაში, რომელიც სილამაზითა და ფუნქციონალურობით ფასდება, გამარჯვებული ჩინეთში მდებარე Shanghai Tower-ი გახდა. დღეისათვის Shanghai Tower-ი სიმაღლის მხრივ აზიაში მეორე ცათამბჯენად ითვლება.

Shanghai Tower-ი ექსპერტებმა 300-ზე მეტ ცათამბჯენს შორის გამოარჩიეს და პირველობა მიანიჭეს. Shanghai Tower-ი 632 მეტრის სიმაღლისაა და მასში მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ლიფტია დამონტაჟებული. არქიტექტურული შედევრის შექმნას 7 წელი და 2,4 მლრდ დოლარი დასჭირდა.



◎ ანეკდოტები

— ერთი მითხარი, თუ ძმა ხარ, რა კაცია ეს ჩვენი ახალი მეზობელი ვანო?

— აბა, რა გითხრა... ეგ ის კაცია, რომელიც მაშინვე ნოტებს ეცემა, როცა ყველას როიალი გადააქვს...

* * *

გამოკვლევების ჩატარების შემდეგ, ფსიქიატრი ეუბნება პაციენტს:

— თქვენ, ბატონო, თავი უნდა შეიკავოთ ნებისმიერი გონებრივი დატვირთვისგან. ჰო, მართლა, რას საქმიანობთ?

— ოპერების ლიბრეტოებს ვწერ.

— ამ საქმიანობის გაგრძელება თავისუფლად შეგიძლიათ.

* * *

— რა ბიზნესი გაქვს ახლა, მოშე, დაგენაცვლე? — ეკითხება ამერიკიდან სტუმრად ჩამოსული ბიძაშვილი.

— ქუჩის მოვაჭრე ვარ.

— რას ამბობ! მერედა რა ღირს ახლა თქვენს ქალაქში ერთი ქუჩა?

* * *

უფროსი თანამშრომელს იბარებს, რომელიც დიდად არ ეპიტნავება.

— ბატონო სერგო, აი, მომავალი წლისთვის ჩვენი მუშაკებისთვის შვებულებების განრიგს ვადგენ. თქვენ რომელ თვეს აირჩევთ?

— თუ შეიძლება, სარდიონოვიჩ, „ა“-ზე.

— კი ბატონო, თქვენი შვებულება „ანვარში“ გერგებათ!

* * *

— სულ სახლში რომ ვზივართ ოთხ კედელში გამოკეტილები, იქნებ წავსულიყავით სადმე ამ საღამოს, ან ბარში, ან რესტორანში, გული გადაგვეყოლებინა? — ეკითხება ცოლი ქმარს.

— აუ, რა კარგი იდეაა! თუ შინ ჩემზე ადრე დაბრუნდები, იცოდე, ძვირფასო, გასაღები მეზობელთან იქნება!

◎ დედაქალაქი

ყველის თბილისური ფესტივალი

აუარებელ სახეობის რძის ნაწარმი — ნაირ-ნაირი სახეობის ყველი, ნადუღი, ხაჭო, ხაჭოს ხინკალი, სხვადასხვა მცენარის თაფლი და, რაღა თქმა უნდა, ღვინო — ასეთი გახლდათ გასულ კვირადღეს რესპუბლიკის მოედანზე მოწყობილი ფართომასშტაბიანი „ყველის ფესტივალის“ მენიუ, რომელშიც მონაწილეობა მთიულეთის, ფშავ-ხევსურეთის, ასევე ქართლის, იმერეთის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის მხარეების მრავალი რაიონის მეწარმეებმა მიიღეს მონაწილეობა.

ფესტივალს უამრავი როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი სტუმარი ეწვია. საკმაოდ სოლიდური ფასების მიუხედავად, მნახველთა განსაკუთრებით დიდი მოწონება ხვდა წილად დამბალ ფშავურ ხაჭოს თიანეთიდან, რომლის დამზადების პროცესი ორიდან სამ თვემდე გრძელდება. ბევრმა იქვე დააგემოვნა გაყინული ხაჭოს ხინკალიც. დიდი ხალისით ყიდულობდნენ მარაგად ახმეტიდან, გორიდან, ბოლნისიდან, ნინოწმინდიდან, დუშეთიდან, თიანეთიდან, საგარეჯოდან, სიღნაღიდან, ჭიათურიდან ჩამოტანილ ძროხის, თხისა და ცხვრის, ცალკე გუდის, ასევე თაფლსა და საფერავის ჯიშის ღვინოში გამოყვანილ ყველს, სხადასხვა კუთხიდან ჩამოტანილ თაფლს, ათასნაირ ბოსტნეულსა და ხილს, ტიბაანურ ნაქებ ღვინოს.

ყველის, ხაჭოს ხინკლის, ხილისა თუ ღვინის დაგემოვნება ფესტივალის სტუმრებს იქვე შეეძლოთ. მსურველებს ასევე

შეეძლოთ, შეეძინათ კონიაკი, არაყი, მურაბები, ვაშლის ძმარი, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტი.

ყველის ფესტივალს დედაქალაქის მერი **დავით ნარმანია** დაესწრო, რომელმაც, კერძოდ განაცხადა:

— ასეთი დიდი მასშტაბით თბილისურ ყველის ფესტივალს წლეულს პირველად აღვნიშნავთ. ბევრი სახეობის, განსხვავებული ტექნოლოგიით დამზადებული ყველი მრავალმა თბილისელმა და, მით უმეტეს, ქალაქის სტუმარმა დღეს პირველად დააგემოვნა. ბევრის თქმით, ასეთი პროდუქციის არსებობის შესახებ მხოლოდ გადმოცემით თუ ვიცოდით და, ეს, თურმე, რა განძის პატრონები ვყოფილვართო, — აღნიშნა დედაქალაქის თავკაცმა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ფესტივალის მონაწილეებსაც და მნახველებსაც კარგად ართობდა მშვენიერი მუსიკა, რომელსაც ჯგუფ „დიობალადის“ წევრები ასრულებდნენ. დასანანი მხოლოდ ის არის, რომ ფესტივალმა მარტო დღის პირველ ნახევარს გასტანა.

დალი ხუნდაძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4516; ევრო - 2.7198;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0594;
100 რუბლი - 3.8352; თურქული ლირა - 0.7786;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4376;
1000 სომხური დრამი - 5.1450.

ამინდი 8 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე 0,	დღე +19
მთიანი რაიონები -	ღამე -3,	დღე +17
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +7,	დღე +24
მთიანი რაიონები -	ღამე -1,	დღე +20
თბილისი:	ღამე +5,	დღე +18

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE